დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისაბედ ბუსხრიკიძე, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი

წევრები:

მარიამ ჭყონია, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი
ალა სანამიანი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაკა ნატროშვილი, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
სოფიო ხვადაგიანი, სახელმწ. ენის საგნობრივი ექსპერტი
თამარ ჩალახეშაშვილი, უცხო ენის საგნობრივი ექსპერტი
თამარ შალვაშვილი, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ციცინო თორია, მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ვერა გუდაძე, ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ელენე ხუციშვილი, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ედუარდ ნაკაიძე, სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	238146190

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი სოფელი კაკაბეთი
იურიდიული მისამართი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი სოფელი კაკაბეთი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი კაკაბეთი
საფოსტო ინდექსი	3887
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი არ გვაქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kakabeti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	სკოლას არ აქვს ტელეფონის ნომერი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	577 27-33-38

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	**განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 11/07/2023 წლის გრძანება MES 3 23 0000866283**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**10 და 11 აგვისტო, 2023 წელი**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი**
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლაში ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია - სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად, Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით, გამართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, განიხილულ იქნა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შემუშავდა დღის წესრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლაში განხორციელებული ჰიბრიდული ვიზიტის ფარგლებში ადგილზე, სკოლაში, იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი: თავმჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. სხვა საგნების საგნობრივი ექსპერტები დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლათფორმის მეშვეობით ერთვებოდნენ პროცესში. მათ საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი კათედრის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები), განსახორციელებელი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა.

ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს (კათედრების მიხედვით). ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს დაწესებულების სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსები, შემოწმდა სკოლის ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სკოლამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. სკოლის პერსონალს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი უფლება-მოვალეობანი, იცნობენ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს და აქტიურად ნერგავენ სასკოლო პრაქტიკაში. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლა 2019 წლის აპრილიდან 2021 წლის მარტის ჩათვლით ჩართული იყო ,,ახალი სკოლის მოდელის" პროექტში და მესამე თაობის ესგ.-ის დანერგვის პროცესი სკოლაში საკმარისად წარმატებულად განხორციელდა, რაც მოსწავლე/მასწავლებლების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსების და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისას გამოიკვეთა. სკოლაში თვალშისაცემია თანამშრომლობითი კულტურის მაღალი დონე და თანამშრომლების მიკუთვნებულობის განცდა საკუთარი სკოლისადმი. ორდღიანმა სამუშაო ვიზიტმა ექსპერტებს დაგვანახა სკოლის პერსონალის კომპეტენცია, სიახლეების მიღება/დანერგვისადმი მზაობა და ღიაობა, სასწავლო პროცესის ორგანიზების მაღალი დონე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☒ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 650	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*30/09/2024 წ.-მდე სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის* წარმოდგენა; *30/09/2024 წ.-მდე სკოლამ უზრუნველყოს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხვედლობის* დასკვნის წარმოდგენა;
ინდიკატორი N 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიუ გარემოს	*30/09.2024 წლამდე სკოლამ უზრუნველყოს შენობაში ლიფტის და/ან პანდუსის მოწყობა* *30/09.2024 წლამდე სკოლამ უზრუნველყოს სპორტული დარბაზის შესასვლელის ადაპტირება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცა შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედ ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ) სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვ პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაც (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელ მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებ გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობ შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედ გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტ ინფორმაცია.	*01/12/ 2023 წ.-მდე სკოლამ უზრუნველყოს ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდზე სკოლის შესახებ შემდეგი ინფორმაციის: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაციის ქართულ ენაზე განთავსება*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N 1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	*მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს ხედვის ამსახველი ისეთი დოკუმენტი, რომელიც გამიჯნულია მისიის დოკუმენტისგან და ხედვის ფორმულირება ჩამოაყალიბოს ისე, რომ ნათლად გამოჩნდეს დაწესებულების რეალისტური, მკაფიო სამომავლო ხედვა, შესაძლებელი იყოს დროში გაწერილი, გაზომვადი ხედვის დანახვა და ჩანდეს, თუ რას დაინახავს სასკოლო საზოგადოება, თუკი დაწესებულება სრულად მოახდენს საკუთარი ამბიციების რეალიზებას.*
ინდიკატორი N 1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	*სასურველია სკოლის ღირებულებების ამსახველ დოკუმენტში ჩანდეს ინფორმაცია სკოლაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურის და იმ პრინციპების შესახებ, რომელთა დაცვითაც უნდა იმუშაონ დაწესებულებაში და და ღირებულებების ფორმულირება დაზუსტდეს ისე, რომ საზოგადოებას ჩამოუყალიბოს მოლოდინი სკოლასთან დაკავშირებით.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან. ასევე მიეცა რჩევა შირმით აღიჭურვოს ექიმის კაბინეტი.*
ინდიკატორი N 3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	*სკოლას მიეცა რჩევა სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, სათანადო დოკუმენტში გაწეროს სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები და განსაზღვროს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.2.2.3	სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება	*სკოლას მიეცა რჩევა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს და გაწეროს დაგეგმილი მომსახურების შეფასების მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც შეაფასებს საქმიანობას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დახარვეზდა სტანდარტის შემდეგი ინდიკატორები: 1.2.1.1; 1.2.1.2.; 1.2.1.4.; 1.2.2.1.; 3.1.2.4; 2.2.2.5; 3.4.1.1; 3.5.1.3.; 3.6.3.1.; 3.6.3.4.; 3.6.3.5. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ., ასევე წარმოადგინა მტკიცებულებები. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორების, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც -,,არ შეესაბამება“ (1.2.1.1; 1.2.1.2; 1.2.1.4; 1.2.2.1.; 3.1.2.4.; 3.6.3.1; 3.6.1.4, 2.2.2.5), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც სრულად ,,შესაბამისი“, ხოლო ინდიკატორები: 3.4.1.1; 3.5.1.3.; 3.6.3.5., ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა ითვალისწინებს შემდეგს: *„შექმნას ისეთი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომლებიც მათ მისცემს საშუალებას გახდნენ ღია სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, სადაც პრიორიტეტული იქნება: კვლევის, აზროვნების (შემოქმედებითი, ანალიტიკური, კრიტიკული), ცოდნის რეალიზების, სოციალური და სხვა უნარები, ასევე ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სხვა. ასევე უზრუნველყოს მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ–ჩვევების განვითარება, ხელი შეუწყოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება–მოვალეობების გაცნობიერებაში. აამაღლოს მოსწავლეებში წიგნიერების დონე, უმაღლეს სასწავლებლებში საკუთარი კურსდამთავრებულების ჩარიცხვის პროცენტული მაჩვენებელი. შეამციროს საშუალო საფეხურზე გაცდენების რაოდენობა. აამაღლოს ზოგადი წიგნიერება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებში კითხვის, წერის, ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანისა და გაზიარების უნარს“.*
სკოლის მისია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და დასათაურებულია კიდეც. სკოლის ხედვა ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში,თუმცა არაა ცალკე დასათაურებული. სკოლის მისია და ხედვა (ღირებულებები) გამომდინარეობს და ძირითადად შეესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებში დეკლარირებულ განაცხადთან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, <u>რომ მისია და ხედვა დეკლარირებულია, როგორც ერთი მთლიანობა, არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან, რაც ართულებს დაწესებულების რეალისტური, დროში გაწერილი, გაზომვადი ხედვის დანახვას. თუმცა, აპირებენ რევიზირების პროცესის დაწყებას - მომავალი სასწავლო წლისთვის ცალ-ცალკე დაასათაურონ და გამოყონ მისიის, ხედვის და ღირებბულებების ამსახველი ელემენტები, ასევე ცვლილებები შეიტანონ მისიის, ხედვის და ღირებულებების ცალკეული დეტალების დაკონკრეტებაში.</u>
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია</u>

<u>**სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავოს ხედვის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც გამიჯნულია მისიის დოკუმენტისგან და ხედვის ფორმულირება ჩამოაყალიბოს ისე, რომ ნათლად გამოჩნდეს დაწესებულების რეალისტური, მკაფიო სამომავლო ხედვა, შესაძლებელი იყოს დროში გაწერილი, გაზომვადი ხედვის დანახვა და ჩანდეს, თუ რას დაინახავს სასკოლო საზოგადოება, თუკი დაწესებულება სრულად მოახდენს საკუთარი ამბიციების რეალიზებას.**</u>

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. კერძოდ ამგვარად აზუსტებს: *„სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას კანონმდებლობის შესაბამისად; სკოლაში პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი; შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიკურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას; გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები"

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად დაცულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა თემში წარმოადგენს სოციო კულტურულ სივრცეს. ამასთანავე სკოლაში არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოებისათვის კომფორტული ფიზიკური გარემო, თუმცა გადასინჯვის შემდეგ გამოიკვეთა მცირე უზუსტობები, რომელის გაუმჯობესებასაც სამომავლოდ გეგმავს, <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა სკოლის ღირებულებების ამსახველ დოკუმენტში ჩანდეს ინფორმაცია სკოლაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურის და იმ პრინციპების შესახებ, რომელთა დაცვითაც უნდა იმუშაონ დაწესებულებაში და ღირებულებების ფორმულირება დააზუსტოს ისე, რომ საზოგადოებას ჩამოუყალიბოს მოლოდინი სკოლასთან დაკავშირებით.</u>

3. სკოლის ინფორმაციით, წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეთა თვითმმართველობის წამომადგენლისა და მშობელთა ჩართულობით. მაგრამ, სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში არ იძებნება დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. თუმცა ზეპირი ინტერვიუირების დროს, მასწავლებლებმა და სკოლის დირექციის წევრებმა გაიხსენეს პროცესები, რომლის დროსაც მიმდინარეობდა სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევა და მისი ანალიზის საფუძველზე, სკოლის მისიის შემუშავება სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით. მათი ინფორმაციით, ამ პროცესებში ნაწილობრივად მონაწილეობენ სწავლების სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეთა მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობა. შემუშავების პროცესში ხდებოდა განხილვები კათედრის სხდომებზე, პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე, თუმცა განხილვის ამსახველი დოკუმენტაცია სკოლაში არ იძებნება. ინტერვიუს დროს დირექცია აღნიშნავდა, რომ მასწავლებლები და სასკოლო საზოგადოება გაეცნო მისიის პროექტს და ზეპირი უკუკავშირებითა და რეკომენდაციებით მიიღეს თანამონაწილეობა მისიის შემუშავებაში. მოსაზრებების გაცვლის პროცესი ასახვდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მის მიერ გაზიარებულობას მისიის შემუშავების პროცესში, ამდენად, სკოლის მისია და ხედვა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ავტორიზაციის ახალ სტანდარტთან შესაბამისობის პარალელურად, სკოლა გეგმავს მისიისა და ხედვის რევიზიასაც. სწორედ ამ დროს მოხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამსახველი მასალების დოკუმენტირება/შენახვა.

სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ახალი მისიის შემუშავების დროს სასკოლო საზოგადოების ჩართულობაცა და სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულობაც იქნება უფრო სიღრმისეული და აუცილებლად დოკუმენტირებული. ამ მიმართულებით განხორციელდა/განხორციელდება შემდეგი პროცედურები: სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფი, მაის-ივნისში ჩატარდა კვლევა, გაკეთდა ანალიზი და წარედგინა სასკოლო საზოგადოებას. აგვისტოში უნდა შემუშავდეს სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტაცია.

<u>სკოლაში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა არსებული მისიისა და ხედვის რევიზია. სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტი,</u> ასევე მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაზიარებული კითხვარები (ვიზიტის პერიოდში ნაწილი უკვე შევსებული იყო), რომელთა დამუშავების შემდეგაც მოხდება მისიისა და ხედვის გადამუშავება სკოლის მიერ ამ მიზნებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და შესაბამისად, ის დამტიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მშობელთა კრებებზე დამრიგებლები მშობლებს და მოსწავლეებს აცნობენს სასკოლო სასწავლო გეგმას. ამასთანავე სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სტენდზე სკოლის ჰოლში.
სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფის მიერ რევიზირებული/გადამუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები სამუშაო ჯგუფმა განსახილველად და რეკომენდაციების შემუშავებისთვის უნდა წარუდგინოს პედაგოგიურ საბჭოს, სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის ორგანოებს, საფეხურების მიხედვით მშობელთა და მოსწავლეთა საერთო კრებებზე განსახილველად. განხილვის შედეგად მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები 2 კვირის განმავლობაში უნდა დაუბრუნდეს სკოლის დირექტორს, რომელიც შეადგენს საბოლოო სახით პროექტს, პროექტი შეთანხმდება პედაგოგიურ საბჭოსთან და წარედგინება სამეურვეო საბჭოს ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში, განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები მომავალი სასწავლო წლიდან გააზიარებული იქნება სკოლის ახალ ვებ-გვერდზე/სოციალური ქსელების დახურულ ჯგუფებში.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები და უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და გაზიარებულობა მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (ვადები 12.08.23-15.08.23) და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 14/08/2023 წ.-ის ბრძანება № 2-131 სკოლის ხედვის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. თუმცა ამ ეტაპისთვის, ხელმისაწვდომია მხოლოდ მატერიალური სახით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოთხოვნის შესაბამისად გაეცნოს და გაარკვიოს საჭირო დეტალები. ამჟამად სკოლის ფილოსოფია საჯაროდ გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე სკოლის ფოიეში, დეკლარირებულია 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება შეიქმნას სკოლის პირადი ელექტრონული სივრცე, სადაც განთავსდება სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სასკოლო კურიკულუმი და ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>
6. სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005) - "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებიდან საჯარო სკოლისთვის სახელწოდების მინიჭების შესახებ და იწოდება ,,სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწ/წ. სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის მისია (ხედვა);
- სკოლის ფილოსოფია
- სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტი
- დირექტორის ბრძანება ავტორიზაციის პროცესების მარეგულირებელი და სკოლის სგ-ზე პასუხისმგებელი დროებითი ჯგუფის შექმნის შესახებ;
- მშობელთა კრების ოქმი მე–7 კლასი კურიკულუმის გაცნობა
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- ზეპირი ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ წარმოუდგენია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. <u>თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სტრატეეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტი,</u> რომელიც მოიაზრებს სტრატეგიული დაგეგმვის შემდეგ ეტაპებს: ინფორმაციის შეგროვება/ანალიზი; მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა; სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირება; სამოქმედო გეგმის შემუშვება; შესრულების მონიტორინგი.
ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ნაწილში სკოლა გეგმავს ჩართოს სკოლის პერსონალი, ბენეფიციარები (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირები, რათა შეაგროვოს მათგან ინფორმაცია დაწესებულების შიდა პროცესების და დამოკიდებულებების შესახებ. ინფორმაციის შეგროვებისათვის, სკოლა გეგმავს, საჭიროებისამებრ, გამოიყენოს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა).
იმის მიუხედავად, რომ სკოლას არ აქვს სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, თვალსაჩინოა, რომ სკოლის ხელმძღვანელობამ და პედ. კოლექტივმა გაიაზრა ავორიზაციის ახალი სტანდარტის შესაბამისი და სკოლის თვითგანვითარებაზე ორიენტირებული პროცესების აუცილებლობა და დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

სკოლას მიეცა რჩევა დაამტკიცოს შემუშავებული სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები და განისაზღვრება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 14/08/2023 წ.-ის ბრძანება № 2-131 სკოლის ხედვის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესხებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. სკოლაში ექპერტების ვიზიტის ეტაპზე, სკოლას არ გააჩნდა 7 წლიანი სტრატეგიული გრძელვადიანი გეგმა, რადგან აქამდე სკოლა, ძირითადად, ხელმძღვანელობდა სასკოლო სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელსაც სამეურვეო საბჭო ყოველწლიურად სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებდა. თუმცა, 2023-2024 წსასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს ახლადშემუშავებული სკოლის მისიისა და ხედვის გათვალისწინებით, შექმნას/ შეიმუშავოს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, ხოლო მასზე დაყრდნობით განისაზღვროს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, სტრატეგიულ გეგმის შედგენა იგეგმება მიმდინარე წლის სექტემბერში, სასკოლო საზოგადოების ფართო წრეების ჩართულობით ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელმაც უნდა გამოვკვეთოს სკოლისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებაზე მორგებული მნიშვნელოვანი გრძელვადიანი მიზნები. შემდეგში ამ მიზნების შესაბამისად, მოხდება სამოქმედო ამოცანების დასახვა და გადაჭრის გზების შემუშავება, გამოიყოფა საჭირო რესურსების ნუსხა და პასუხისმგებელი პირები. თვალსაჩინოა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სტრატეგიული გეგმა უნდა გამომდინარეობდეს მისიისა და ხედვისაგან, ამიტომ ახლად შემუშავებული მისიისა და ხედვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტების გათვალისწინებით გეგმავს შექმნას სტრატეგიული განვითარების გეგმა, ხოლო ამ გეგმიდან გამოიყოფა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიულ მიზნებში გათვალისწინებული იქნას მისია და ხედვა. მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაიწეროს კონკრეტული აქტივობები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 09/10/2023 წ.-ის ბრძანება ბრძანება № 2-168 სკოლის ერთწლიანი და შვიდწლიანი (2023-30 წ.წ.) სტრატეგიული გეგმების დამტკიცების შესხებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. სკოლას მიერ წარმოდგენილი 2022-2023 სასწ. წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ ეფუძვნება 7 წლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას, რადგან სკოლას არ გააჩნია 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. ვიზიტის პერიოდში, სკოლას მომავალი სასწავლო წლისთვის არ ჰქონდა შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ვინაიდან ჯერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზია მიმდინარეობდა. თუმცა დირექტორის ბრძანებით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს ჯგუფი, რომელიც სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის გაწერის შემდგომ იმუშავებს სკოლის ერთწლიან გეგმაზე.
2022-2023 სასწავლო წლის ერთლიანი სამოქმედო გეგმის გაცნობით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც, ძირითადად, მოკლევადიან მიზნებს აღწერს და მასში გაწერილია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ჩასატარებელი ღონისძიებები, ვადები და პროცესზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება სამუშაო გეგმის განხორციელების შეფასება. მას ეფუძნება მომდევნო სასწავლო წლის ახალი სამოქმედო გეგმის მომზადება, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმის ციკლურ ხასიათს. თუმცა, სკოლას არ წარმოუდგენია გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომლის საფუძველზედაც აიგო 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, მაგრამ წარმოგვიდგინა 2022 წლის სამეურვეო საბჭოს ოქმები, დეტალური ანგარიშები სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ და სკოლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ანგარიშები გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ სკოლას შეუძლია საკუთარი საქმიანობის რეფლექსია, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. ეს ჩანს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის პროექტში. ანგარიშები გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის მიხდვით, უნდა დაეფუძნოს სკოლის სტარტეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების შემდგომ, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც შესაბამისად გაიმართება. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის დოკუმენტებზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ფლობს საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რათა სწორად დაიწყოს და დაასრულოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რევიზირების პროცესი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის ერთლიანი სამოქმედო გეგმის გაცნობით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ძირითადად განსაზღვრულია მოკლევადიანი მიზნები, შესასრულებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები. თუმცა არ ჩანს გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.
სკოლის ადმინისტარციის განცხადებით, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ჩასატარებელი ღონისძიებები, მაგრამ ეს მიზნები და აქტივობები ძირითადად განსაზღვრავს სკოლის ფუნქციონირებას და ნაკლებად ასახავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობებს. დაგეგმილი აქტივობების ვადები რეალისტურია და გეგმაში მითითებულია პროცესის შესრულებაზე/მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა <u>დაგეგმილი აქტივობებისთვის შესაბამისი რესურსებისა და შესრულების გაზომვადი ინდიკატორების დაუზუსტებლობის გამო სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ინდიკატორის მოთხოვნას არ შეესაბამება.</u> სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ახლად შემუშავებული მისიისა და ხედვის დოკუმენტების გათვალისწინებით შექმნის სტრატეგიული განვითარების გეგმას, ხოლო ამ გეგმიდან გამოიყოფა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ მიზნებსა და მათი რეალისტურ ვადებში და პირობებში განხორციელების უზრუნველყოფას.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 09/10/2023 წ.-ის ბრძანება ბრძანება № 2-168 სკოლის ერთწლიანი და შვიდწლიანი (2023-30 წ.წ.) სტრატეგიული გეგმების დამტკიცების შესხებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის ბრძანება 2023 წლის 05 აპრილის ბრძანება №2-61
- სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტი
- დირექტორის ბრძანება ავტორიზაციის პროცესების მარეგულირებელი და სკოლის სგ–ზე პასუხისმგებელი დროებითი ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- ზეპირი ინტერვიუ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>ამ ეტაპზე სკოლას არ წარმოუდგენია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის განხორციელების მტკიცებულებები, რადგან სკოლას ასეთი დოკუმენტი არ მოეპოვება.</u> თუმცა სკოლა გეგმავს შეიქმნას კანონმდებლობის შესაბამისად მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი, სადაც აუცილებლად მოხდება ორგანიზებული თვითშეფასების პროცესი და გაიწერება თანმდევი მექანიზმები, თუ ვინ როდის, რა ინსტრუმენტებით, რა პერიოდულობით განახორციელებს მონიტორინგს და შეფასებას. ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ დაგვიტოვა განცდა, რომ ახალი სასწავლო წლიდან, რევიზირებული გეგმების პირობებში, სკოლა მოახდენს მონიტორიგისა და შეფასების პროცესისა და შედეგების დოკუმენტირებას. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილ წლიურ სამოქმედო გეგმაში კარგად ჩანს, რომ სკოლას სიღრმისეულად აქვს გააზრებული სასკოლო პროცესებში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების მნიშვნელობა. აგრეთვე ის, რომ სწორედ მონიტორინგის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლოა განაპირობოს საჭირო და დროული ცვლილებების შეტანა გეგმაში.
<u>სტანდარტი არის დაკმაყოფილებული</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 14/08/2023 წ.-ის ბრძანება № 2-131 სკოლის ხედვის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის დამტკიცების შესხებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. წარმოდგენილი ერთწლიანი განვითარების გეგმისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა სტრუქტურული რგოლის მეშვეობით. მაგ., შეფასება ასახულია კათედრის სხდომის ოქმებში (შემაჯამებელი დავალების ანალიზები; კომპლექსური დავალების ანალიზები; დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშში), პედსაბჭოს და სამეურვეო საბჭოს ოქმებში და სხვა... იგულისხმება, რომ წლის ბოლოს გამოკითხვების დახმარებით აანალიზებენ და შემაჯამებელ ანგარიშებს აკეთებენ საგნის მასწავლებლები, დამრიგებლები, ინკლუზიური მხარდაჭერის სპეციალისტები, დირექტორი/დირექტორის მოადგილე, რომელი ანალიზებისა და შედეგების საფუძველზეც იგეგმება ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. მომავალი სასწავლო წლისთვის ორგანიზებული თვითშეფასების დახმარებით, Swot ანალიზის გამოყენებით,
ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების აღნიშნულ პროცესში ჩართოს სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებულ მხარეები, მათი უკუკავშირის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით და სასკოლო საზოგადოების წევრების ფართო ჩართულობით/გამოკითხვით გეგმავენ სტრატეგიული გეგმის და მასზე დაყრდნობით სამოქმედო გეგმის შედგენას.

<u>სტანდარტი არის დაკმაყოფილებული</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 14/08/2023 წ.-ის ბრძანება № 2-131 სკოლის ხედვის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის დამტკიცების შესახებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. სკოლას ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია ცალკე დოკუმენტის ფორმიატით, რაიმე სახის მტკიცებულება წინა წლების განმავლობაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების და მათი გასაჯაროების შესახებ. თუმცა მათი თქმით, .სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები ასახულია სასკოლო დოკუმენტაციაში. კერძოდ: სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების კითხვარის შევსებაში. თვითშეფასების კითხვარის შევსებისას გათვალისწინებულია ასევე კათედრების შემაჯამებელი სხდომის, პედსაბჭოს შემაჯამებელი სხდომის ოქმებში წარმოდგენილი ანგარიშები და ანალიზები, დირექტორის/დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, სადაც ძირითადად საუბარია ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, სკოლაში სწავლა/სწავლების პროცესის წარმართვისას და უსაფრთხო, მოწესრიგებული სოციო-კულტურული სივრცის შესაქმნელად.

სკოლა აცხადებს მზადყოფნას მოთხოვნის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს დოკუმენტების გასაჯაროვება და მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოხდება ანგარიშების საჯაროდ განთავსება. ასევე მომავალ სასწავლო წელს გეგმავენ სამოქმედო გეგმის შეფასებაში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართვას ელექტრონულად გამოკითხვების დახმარებით და Swot ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების გათვალისწინებას.

<u>სტანდარტი არის დაკმაყოფილებული</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 09/10/2023 წ.-ის ბრძანება № 2-168 სკოლის ერთწლიანი და შვიდწლიანი (2023-30 წ.წ.) სტრატეგიული გეგმების დამტკიცების შესახებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. სკოლასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის მნიშვნელობა სწორად აქვთ გააზრებული. მათი თქმით, ეს არის ერთგვარი პრევენციული ღონისძიება. ყველა ის პრობლემა, რაც აღიწერება ანგარიშში, უნდა იქნეს გათვალისწინებული მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

<u>სტანდარტი არის დაკმაყოფილებული</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 09/10/2023 წ.-ის ბრძანება № 2-168 სკოლის ერთწლიანი და შვიდწლიანი (2023-30 წ.წ.) სტრატეგიული გეგმების დამტკიცების შესახებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;**
- **დირექტორის ბრძანება 2023 წლის 05 აპრილის ბრძანება №2-61**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმი 7**
- **საზოგადოებრივი მეცნიერერებების კათედრის ოქმი N1**
- **ზეპირი ინტერვიუ**
- **შვიდწლიანი სტრატეგული გეგმის შექმნის მეთოდოლოგის პროექტი**
- **ზეპირი ინტერვიუ**

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოდეგნილი დოკუმენტებით დაადასტურა, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტუტული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია და მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას.

სკოლის დირექციას შეადგენენ დირექტორი (ამჟამად ასრულებს დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებს), ბუღალტერი და დირექტორის ერთი მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითი მიმართულებით;

ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, 3 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 2 ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი-ასისტენტი, მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლას ყავს ორი საგანმანათლებლო მანდატური.

პედაგოგიური პერსონალი შედგება 32 მასწავლებლისაგან. მათგან: 22 უფროსი, 8 წამყვანი და ასევე 2 სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის, დაწყებითი საფეხურის და სპორტის. კათედრის სხდომები ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, შესაბამის ვადებში და შესაბამისი დღის წესრიგით.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეებები, მისი არჩევის წესი. სკოლას აქვს თვითმმართველობის კაბინეტი, რომლის დათვალიერებამაც დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.

კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო. <u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და კათედრების დებულება. პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტისა და დამრიგებლის მუშაობა რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა, სკოლის წესდება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი 06/ნ ბრძანება) აქტებით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სკოლის ხელმძღვანელობის განცხადებით, პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად სკოლის შინაგანაწესის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით; პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; მაგ. ახალი კადრის აყვანა გამოთავისუფლებულ ადგილზე ხდება შიდა და ღია ვაკანსიის საჯაროდ გამოცხადების შემდგომ, კვალიფიკაციის შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშკრულებაში გაწერილი ფუნქციების, ასევე საშტატო განრიგის გათვალისწინებით და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია და არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა, რომელიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2022-2023**
- **შინაგანაწესი 2022 წელი ცვლილებით**
- **სტრუქტურული ერთეულების დებულება**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.**
- **კათედრების დებულება.**
- **უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით**
- **ღია კონკურსის შეფასების კრიტერიუმები აპლიკანტის**
- **დასაქმებულთან დადებული ხელშეკრულება მასწ. დირექტ. მოადგილე**
- **ზეპირი ინტერვიუ**

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდამარეგულირებელი აქტების: სკოლის შინაგანაწესის, პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების, ეროვნული სასწავლო გეგმის (კათედრების ფუნქცია-მოვალეობები, დამრიგებლის უფლება-მოვალეობები), სკოლის წესდების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ-ის (მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის მიხედვით. დაწესებულებას დამატებითი პირობები დადგენილი არ აქვს.
შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი.
სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. მაგ. თანამშრომლობით კულტურაზეა დამყარებული კათედრების, დამრიგებლების, კლასში შემსვლელი მასწავლებლების და სხვა პერსონალის მუშაობის მექანიზმები. სკოლას კარგად აქვს გათავისებული სკოლის სამართლებრივი გარემო, განაწილებული აქვს ფუნქციები დელეგირებისათვის და მასწავლებელთა კადრები დაკომპლექტებული ჰყავს კვალიფიციური, კომპეტენტური გუნდის ფორმირებით. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით, (2021 წლის 20 იანვრის ბრძანება N2-05) შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. ხარისხის ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. იგი ესწრება გაკვეთილებს, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს. ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის ერთ-ერთი ამოცანაა კვალიფიციური კადრების მოზიდვა. სამსახურში ახალი თანამშრომლის/მასწავლებლის მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად ღია ვაკანსიის საჯაროდ გამოცხადების წესით. საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კადრს სკოლა უფორმებს ხელშეკრულებას გამოსაცდელი ვადით და შესაბამისი პირობების გაცნობით. მაგ., 2022 წლის ნოემბერში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის საშტატო ერთეულზე ვაკანტური ადგილის შესავსებად. სკოლას მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. წარმოდგენილი აქვს ასევე კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შესახებ ბრძანება, კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების შესახებ ბრძანება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. სკოლა სრულად იცავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. სკოლის ინფორმაციით გამოცხადებული ვაკანსიის დროს პრიორიტეტი ენიჭება იმ კანდიდატებს, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ პროფესიული განვითარებისთვის. პირად საქმეებში არის წარმოდგენილი სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა (2020 წლის 23 ივლისი საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებები ვალდებული არიან, პირს დაწესებულებაში დასაქმებამდე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, მოსთხოვონ სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით მტკიცდება, რომ პერსონალის შერჩევამდე სკოლაში საჯაროდ ცხადდება ვაკანსია. იგი შეიძლება იყოს შიდა ვაკანსია და შეიძლება იყოს ღია ვაკანსია Pedagogi.ge-ზე განთავსებული. სკოლაში იქმნება კომისია, რომელიც არის ორგანიზატორი და განმახორციელებელი ერთეულ ვაკანსიაზე ობიექტური პირის შერჩევისთვის. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ადგენს ახალი კადრის პირად საქმეს. <u>სამუშაო აღწერილობები და სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მეტწილად შესაბამისობაშია ერთმანეთთან. თუმცა, სკოლას არ აქვს შემუშავებული ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშორმლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უფლება-მოვალეობები და შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესი და პირობები. ამდენად, სკოლას არ აქვს სრულყოფილად განსაზღვრული მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესაბამისად ვერ დგინდება, თუ რამდენად შეესაბამება მასწავლებლების/ბუღალტერის/ექიმის გარდა, სკოლის სხვა პერსონალი დაკავებულ თანამდებობას.</u>

<u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**</u>

სკოლას მიეცა რჩევა ცალკე დოკუმენტის სახით შეიმუშავოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი ერთი მთლიანი დოკუმენტი (თანამდებობრივი ინსტრუქციები), რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების ფუნქციებს და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშორმლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები, ანგარიშგება და შესრულების მონიტორინგი/შეფასება, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის/შეწყვეტის წესი და პირობები კანონმდებლობისა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემსრულებლის 09/10/2023 წ.-ის ბრძანება № 2-167 სკოლის პერსონალის (ადამიანური რესურსების) მართვის ერთიანი პოლიტიკის აღმწერი დოკუმენტის დამტკიცების შესხებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. სკოლაში არსებული პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ჰყავს მასწავლებელთა კონტიგენტში როგორც უფროსი, ისე წამყვანის სტატუსის მქონე კვალიფიციური პედაგოგები. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები წარმოადგენენ მაღალ კვალიფიციურ გუნდს შესაბამისი უმაღლესი განათლებით. სკოლას აგრეთვე ჰყავს კვალიფიციური ექიმი, ბიბლიოთეკარი, სპეცმასწავლებლები შესაბამისი კვალიფიკაციით და სხვ.
სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო სულ 48 თანამშრომელი, მათგან 32 მასწავლებელი. ყველა მასწავლებელს მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი და შრომითი ხელშეკრულებებიც სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული.
მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან ექიმის - კვალიფიკაცია (სახელმწიფო საექიმო სერტიფიკატი სპეციალობაში პედიატრია).
სკოლას არ ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი და ასევე არ ჰყავს მოწვეული მასწავლებელი.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. მაგ. თანამშრომლობით კულტურაზეა დამყარებული კათედრების, დამრიგებლების, კლასში შემსვლელი მასწავლებლების და სხვა პერსონალის მუშაობის მექანიზმები..ეს პროცედურები დეტალურად არის გაწერილი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში,სადაც თითოეულ რგოლს/პირს განსაზღვრული აქვს სკოლის განვითარებისათვის საჭირო საქმიანობა.იქვე აღნიშნულია შესრულების ვადები. სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების აქტიური გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და განხორციელებული პროექტები, რომლებიც მრავლადაა გამოფენილი სკოლის შენობაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები (ინტეგრირებული გაკვეთილი მულტიდისციპლინური მიდგომის გათვალისწინებით) და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ. სკოლის კოლექტივი გამოირჩევა მაღალი თანამშრომლობითი კულტურით.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სადღესასწაულო დღეებში ხდება რესურსცენტრისთვის მასწავლებლების მიღწევების წარდგენა წამახალისებელი გარემოს შესაქმნელად. სხვადასხვა კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობისათვის მასწავლებლები წახალისებული არიან სერტიფიკატებით. სკოლამ ასევე წარმოადგინა ცალკეულ მასწავლებლებზე გაცემული სიგელები, რომლითაც აღიარებული იყო მასწავლებლის წარმატებები კონკრეტული პროექტების განხორციელებისას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დირექტორის ბრძანება (2021 წლის 20 იანვრის ბრძანება N2-05) ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება**
- **ბრძნება საგნის „ფიზიკური აღზრდა“ (7-12 კლასები) ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ**
- **ბრძანება საგნის „ფიზიკური აღზრდა“ (7-12 კლასები) ვაკანტური საათების შესავსებად საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ)**
- **ბრძანება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის დანიშვნის შესახებ**
- **პერსონალთან გაფორმებული ხლშეკრულებები;**
- **საშტატო განრიგი**
- **სხვადასხვა კათედრის სხდომის ოქმები**
- **გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ოქმები და ანგარიშები**
- **შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესი და პირობები.**
- **ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.**
- **ზეპირი ინტერვიუ.**

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (2021 წლის 20 იანვრის ბრძანება N2-05) შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება / შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში.სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით.
სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. სკოლის დირექცია ინტენსიურად ახორციელებს საგაკვეთილო დაკვირვებას და იძლევა შესაბამის უკუკავშირს. ეცნობა მასწავლებლების მიერ ურთიერთდასწრების შემაჯამებელ ოქმებს, ანგარიშებს, რომელთა გაანალიზების შედეგად, გამოკვეთს თითოეული მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებას/საჭიროებებს და აძლევთ შესაბამის რეკომენდაციებს. სასკოლო საზოგადოება მუდმივად ცდილობს პროფესიულ განვითარებას. მაგ. დირექტორს ჩაუტარდა ,,ლიდერობის“ ტრენინგების სხვადასხვა მოდული, მხარდამჭერი ჯგუფებისგან ახალი ესგ-ის დანერგვის, ლიდერობის, კოორდინირების ტრენინგები. ბუღალტერს პერიოდულად უტარდება პროფესიული დონის ასამაღლებელი ტრენინგები. ასევე სკოლის ექიმს პერიოდულად უტარდება ტრენინგები. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ არაერთი კვლევა ჩატარდა მოსწავლეთა სწავლა/სწავლების დონის შესამოწმებლად/სტატისტიკისათვის. გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები და სხვა.
<u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მიზანია: ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის პორტფოლიოებით, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. მას შემდეგ რაც,სკოლის დირექციისა და საგნობრივი კათედრების მიერ გამოვლინდება პერსონალის საჭიროებები, დირექცია მას ასახავს ერთ საერთო დოკუმენტში და შეიმუშავებს დროში გაწერილ საჭიროებების საფუძველზე შემუშავებულ გეგმას პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა არის წახალისებაზე ორიენტირებული.

სკოლას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება). ტრენინგ-სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ბუღალტერი და ექიმიც ესწრებიან ტრენინგებს.

<u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**</u>

3. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. სკოლაში არის პერსონალის მხარდამჭერი სისტემა, რომელიც მუდმივად არის ორიენტირებული და ზრუნავს პერსონალის კარიერულ ზრდაზე. მაგ., სკოლას შეფასების ჯგუფის და ფასილიტატორების მხარდაჭერით ჰყავს 22 უფროსი და 8 წამყვანი მასწავლებელი.სკოლაში ამჟამად ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი,რომელიც მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ასამაღლებლად. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მხარდამჭერი ჯგუფების მიერ არაერთი ტრენინგი ჩატარდა ახალი ესგ-ის დანერგვის ხელშესაწყობად. სკოლის ექიმმა დაწყებით კლასებთან ჩაატარა ტრენინგი ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი“ ...მშობლებთან ხშირად ტარდებოდა ონლაინ ტრენინგები პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებლების მხრიდან. ორი წლის განმავლობაში თითოეული მასწავლებელი ისმენს და გადმოაქვს პრაქტიკაში სავალდებულო ტრენინგების სხვადასხვა მოდულები. კათედრებს აქვთ პრაქტიკა გამოკვეთონ საგნობრივი საჭიროებები თანამშრომლობის საფუძველზე.

სკოლა ინტენსიურად ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა”.დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას.

ასევე სკოლის ბუღალტერი და ექიმიც ესწრებიან გეგმიურ ტრენინგებს. პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები. ყველა კათედრას აქვს teams-ის პლატფორმაზე შექმნილი ჯგუფი, სადაც გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად იგეგმება აქტივობები და ვებინარები. სკოლაში მუშაობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, სკოლა ახორციელებს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევებს,რომლებიც ატვირთულია სკოლის ბლოგზე.სკოლის პედაგოგები, თუ სხვა პერსონალი აქტიურად მინაწილეობენ სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის ფარგლებში ტრენინგებში, შეხვედრებსა თუ ფოკუს-ჯგუფების სამუშაო პროცესში. აღნიშნული პროცესებიხ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წახალისება და მხარდაჭერა დასტურდება წარმოდენილი დოკუმენტაციისაფუძველზე და სკოლის მასწავლებლების სერტიფიკატებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლაში არსებობდეს გახსნილი, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების ერთ-ერთი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ხელშეწყობა, რაც დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც თავის მხრივ ამტკიცებს თანამშრომელთა ჯანსაღ, კოლეგიალურ პარტნიორობას ფორმალურ საქმიანობაში.

ასევე სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ქმნის თითოეული თანამშრომლის საჭიროებაზე მორგებულ ადაპტირებულ გარემოს. მაგ. სკოლას აქვს და აქტიურად იყენებს კეთილმოწყობილ და სრულად აღჭურვილ საბუნებისმეტყველო და ისტ-ის ლაბორატორიას, ექიმის კაბინეტს, რესურს ოთახს, საკონფერენციო ოთახს (თანამშრომლებისათვის/მოსწავლეების შეკრებებისთვის), სააქტო დარბაზს, ბიბლიოთეკას, სპორტულ დარბაზს და სხვა. მაგ.; საბუნებისმეტყველო კათედრისთვის შედგენილია გეგმა/გრაფიკი ლაბორატორიაში გაკვეთილის ჩასატარებლად. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს კომპიუტერული კლასის შექმნას, სადაც გეგმა-გრაფიკის მიხედვით ციფრულად ჩატარდება საგნობრივი საგაკვეთილო პროცესები.ამით სკოლა ხელს შეუწყობს სკოლაში ერთიანი,ციფრული ეკო-სისტემის ჩამოყალიბებას.(მომავალი მითითებულია).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა ქმნის სივრცეს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივისა და ინოვაციური იდეების რეალიზებისთვის. სკოლა მუდმივად იღებს ინფორმაციებს სხვადასხვა პროექტების,კონკურსების, კონფერენციების ჩატარების შესახებ. სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა არის წახალისებაზე ორიენტირებული. სადღესასწაულო დღეებში ხდება მასწავლებლების რესურსცენტრისთვის წარდგენა წამახალისებელი გარემოს შესაქმნელად. სხვადასხვა კონკურსებში, კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობისათვის მასწავლებლები წახალისებული არიან შესაბამისი სერტიფიკატებით.

ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახლისების მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შექმნის ბრძანება N N2-05;
- შინაგანაწესი;
- დამრიგებლების პორტფოლიოები;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები
- სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2022-2023
- მასწავლებელთა კონფერენციეები მონაწილის სერტიფიკატი
- ცნობა დირექტორის მოვალეობის შემსრ. მიერ ტრენინგის გავლის შესახებ.
- მასწავლებელთა და სხვა პერსონალის ტრენინგებზე დასრების დამადასტურებელი სერტიფიკატები
- ზეპირი ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასებას და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტში, რომლის დამტკიცებასაც სკოლა გეგმავს უახლოეს დროში. მართვა ხორციელდება ზსდ (სკოლის) წესდების, ზოგადი განათლების კანონის, ზგემ-ის და სასკოლო საზოგადოებასთან და თემთან გაზიარებული ხედვების საფუძველზე. კერძოდ, სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა შემუშავებულია და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ მშობელთა ჩართულობით. სკოლას ჰყავს ,,ხარისხის განვითარების ჯგუფი", რომელიც მუშაობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სამომავლოდ იგეგმება, ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ მრავალფეროვანი აქტივობების შემუშავება.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლაში საჩივრები განიხილება შინაგანაწესის მიხედვით. კერძოდ, საჩივარი წარედგინება დირექციას, რომელიც აღნიშნულ საჩივარს მასწავლებლის/მასწავლებლების, მოსწავლის/ მოსწავლეების შესახებ გადასცემს დისციპლინურ კომიტეტს მოკვლევისა და ანალიზისთვის. (დისციპლინური კომიტეტის ოქმი) დისციპლინური კომიტეტი მოიკვლევს და შეისწავლის საჩივარში აღნიშნულ ფაქტებს, აკეთებს დასკვნებს რომელსაც წერილობით წარუდგენს დირექტორს შესაბამისი რეაგირებისათვის. დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შინაგანაწესით გათვალისწინებული სახდელის შესახებ. ამასთანავე შინაგანაწესის მიხედვით, განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/

საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმები. ასევე სკოლას ყავს შერჩეული მრჩეველთა საბჭო, რომელიც ეფექტურად აკვირდება უსაფრთხო ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში იგი გასცემს რეკომენდაციებს. სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება, სკოლას შემუშვებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი მხარეთა უფლება მოვალეობები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის დებულება
- გასაჩივრების მექანიზმები (პროექტი)
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი/ბრძანება
- დირექტორის ბრძანება
- შინაგანაწესი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი 2 ; 2022წ
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N2
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N2 2023 წ
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე.
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ზეპირი ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებასთან, ცვლილებებთან და განხორციელებასთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ინფორმირების, მათგან უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები. სკოლა აქტიურ თანამშრომლობას ახორციელებს სასკოლო საზოგადოებასთან. მაგ მშობლებთან. იგი დამრიგებლების საშუალებით აცნობს მნიშვნელოვან მოვლენებს, აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს, ისმენს რეკომენდაციებს, ინიციატივებს და შემლებისდაგვარად ითვალისწინებს მათ. სამომავლოდ, იგეგმება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით ცვლილებებისა და სიახლეების ვებ-გვერდის, ან სხვა ელექტრონული ფორმატის საშუალებით გაზიარება. მართვის პროცესებთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღება ხდება მშობლებთან პერიოდული გასაუბრებით მშობელთა კრებებსა და მშობლებთან დირექციის შეხვედრებზე. მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად, სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; ამავე დებულებით, გათვალისწინებულია მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ზარის ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნა. ყოველი კვირის პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. სადმრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საიფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლას ამავე მიზნით აქვს სოციალური ქსელი, ბლოგი და teams-ის პლატფორმაზე საგნობრივი ჯგუფები. სკოლას არ აქვს ვებგვერდი, თუმცა წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსისთვის eflow-ში მიწერილი წერილი;
ი<u>**ნდიკატორი დაკმაყოფილებულია.**</u>

2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კოლეგიალურ ორგანოებში: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო. მათი ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და დასტურდება ოქმებით. სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფილია. გამჭვირვალედ და ობიექტურად ტარდება სამეურვეო საბჭოს არჩევნები სამ წელიწადში ერთხელ. ყველა პროცედურა დაცულია კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურვეო საბჭოში საფეხურების მიხედვით წარმოდგენილი მშობლები უშუალოდ მონაწილეობენ სკოლის მართვის პროცესებში და ინფორმაციას უზიარებენ დანარჩენ სასკოლო საზოგადოების წევრებს. (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1; არჩევნები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის პორტფოლიო
- მშობელთა კრების ოქმები
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- თვითმმართველობის დებულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- დისციპლინარული საბჭოს ოქმები
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოების დაცვაზე. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას კანონმდებლობის კერძოდ, სკოლას ჰყავს მანდატურები და კვალიფიკაციის შესაბამისი ექიმი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით არ არის გამოყოფილი. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

24.05.2022 სკოლას ჩაუტარდა შენობა-ნაგებობის დეტალური სახანძრო-ტაქნიკური შემოწმება. სკოლას გააჩნია დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სადაც ჩატარებული სახანძრო ტექნიკური შემოწმების შედეგად გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები (სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა №554), რომელთა შესრულების ვადა განსაზღვრულია 28.02.2023-მდე.

სკოლას შესრულებული აქვს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხვედლობის მიწერილობით განსაზღვრული რეკომენდაციების ნაწილი. კერძოდ, შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი, რომელიც არ არის დაცული. შესაბამისად, სკოლამ შეიმუშავა მორიგეობის ცხრილი ყველა საევაკუაციო გასასვლელთან. დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით, სკოლა თვლის, რომ მორიგე პირის ყოფნა დერეფანში და სახანძრო სტენდებთან დამატებითი კონტროლის მექანიზმია და გააძლიერებს სკოლაში უსაფრთხოების სისტემას. შენობის დერეფნებში არის განთავსებული ცეცხლმაქრები დამუხტულ მდგომარეობაში. ყველა სართულზე, დერეფნებში ჭერზე განთავსებულის სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები და შენობის გასასვლელების მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. სკოლის ეზოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სათადიგო სისტემა - წყლის 500 ლიტრიანი ავზი. თუმცა, შენობაში არ არის ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა. შენობას არ გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და დანადგარები: კვამლსაწინააღმდეგო დაცვა, სახანძრო ავტომატიკის საშუალებები, ავტომატური სახანძრო სიგნალიზაცია, ხანძრის ჩაქრობის სტაციონალური ავტომატური დანადგარი, კვამლგამწოვი სისტემები, მაუწყებლობის სისტემები. მიწერილობის თანახმად, დღეისთვის გასატარებელია შემდეგი ღონისძიებები: დასამონტაჟებელია ზონალური ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია; დასამონტაჟებელია საევაკუაციო გზებზე ავარიული განათება; შესამუშავებელია ადამიანთა ევაკუაციის გეგმები. მოსაწყობია შენობის სხვეწში ასასვლელი კიბე და ლიუკი; დასამუშავებელია შენობის სხვენის ხის კონსტრუქციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით. სათანადო ფინანსური სახსრების არქონის გამო სკოლა ვერ ახერხებს გადაჭრას ეს პრობლემები, რაც დირექტორის წერილით ეცნობა საგარეჯოს რაიონის რესურსცენტრს და სკოლამ მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამსახურს.
სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. ამასთანავე სკოლას არა აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. თუმცა, სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს რეგიონული დეპარტამენტისთვის მიწერილი წერილი, სადაც ითხოვს შეისწავლონ სკოლის ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა და შესაბამისად, განისაზღვროს მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოება და ექსპერტიზის ბიუროს მიერ დაწყებულია საქმის წარმოება
<u>ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში გაწეროს სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების ნორმების/პირობების უზრუნველყოფის მექანიზმები და თანამშრომელთა შტატში მიიღოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი. ამასთანავე შეიმუშავოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა, ასევე საბოლოო სახით შეიმუშავოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ნორმების/პირობების აღმწერი დოკუმენტი; სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან და *შირმით* აღიჭურვოს ექიმის კაბინეტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2024 წლის დეკემბერი) და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 10.10.2023 წ.-ის ბრძანება № 2-169 სკოლაში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ; სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 19.10.2022 წ. N01317513 წერილი ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს სახანძრო უსაფრთხოების შეუსრულებელი რეკომენდაციებისთვის საჭირო სახსრების არქონის გამო ფინანსური დახმარების მოთხოვნის შესახებ; დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 15.09.2023 წ.-ის ბრძანება № 2-135 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ). ამასთანავე, სკოლაში ექსპერტების ვიზიტის შემდგომ, სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ნორმების/პირობების აღმწერი დოკუმენტი, ასევე ჩატარდა სკოლის შენობის მდგრადობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შემოწმება, სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში გაგზავნილი წერილის საფუძველზე, რისი დასკვნაც სკოლას არ მიუღია შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის ეტაპისთვის. შესაბამისად, ინდიკატორი ფასდება როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

2. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური წარმოდგენილი - 2 მანდატურით. სკოლა აღჭურვილია ვიდეოკამერებით

ყველა სართულზე და ყველა პერიმეტრზე (14 ვიდეოთვალი; ერთი მონიტორი). სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს მორიგეობის განრიგი, რომელიც გაკრულია სკოლის დერეფანში (ყველა სართულზე). შინაგანაწესით განსაზღვრულია პასუხისმგებელი მორიგეების ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც ცალსახად უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. მანდატურის სამსახურის სკოლას ეხმარება საზოგადოებრივი წესრიგის სრულყოფაში. სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება.. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი ურთიერთობის ხელშეწყობას ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები, სკოლაში არსებული რეკრეაციული სივრცეები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დატვირთვით, მათ შორის როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების საგამოფენო სივრცეები, მოსწავლეების მეგობრული თავშეყრის საშუალებას იძლევა, რაც შესაბამისად ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთო სასკოლო გარემოზე ზრუნავენ ასევე სკოლის მანდატურები. სკოლის ხელმძღვანელობის განმარტებით, სკოლის/თემის წარმომადგენლები თავს უსაფრთხოდ და ემოციურად გაწონასწორებულად, დაცულად გრძნობენ, ამიტომაც სკოლაში სასკოლო საზოგადოებას შორის კონფლიქტები არ შეინიშნება. სასკოლო საზოგადოება გრძნობს, რომ მასთან ურთიერთობისას იქმნება პოზიტიური მიდგომები და კავშირები, ისინი თავს დაცულად გრძნობენ, უმაღლდებათ თვითშეფასება, რაც მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ამაღლებს.
<u>ინდიკატორი შეაფასდა დაკმაყოფილებულად</u>

4. სკოლაში სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 3 დამლაგებელი, რომლებსაც ევალებათ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგება. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. საჭირო რესურსით აღჭურვას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.
სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლაში სველი წერტილები ყველა სართულზე, გენდერულად და ასაკობრივად არის: სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. შენობაში პედაგოგებისთვისა და სხვა პერსონალისთვის არსებობს ცალკე სან-კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით, სანიტარული კვანძის შესავლელის წინ არის გამომყოფი ფართი, რათა არ მოხდეს სპეციფიური სუნის გაფრქვევა დერეფნებსა თუ ფოიეში. სანიტარიულ კვანძებს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება და ვენტილაცია. შენობაში გვაქვს მუდმივი წყალი რაც ასევე უზრუნველყოფს სანიტარულ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჰიგიენურ ნორმების დაცვას, ასევე დისპანსერები, სადეზინფეციო ხსნარი, თხევადი საპონი, მშრალი ხელსახოცი და ა.შ. სკოლას აღნიშნული ნორმების დაცვაში აქტიურად ეხმარება სკოლის ექიმი და დამლაგებლები (ყველა საჭირო ინვენტარით). დამრიგებლები მოსწავლეებთან ინტენსიურად მუშაობენ ამ მიმართულებით კლასის საათზე.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

სკოლას მიეცა რჩევა ხარისხის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, სათანადო დოკუმენტში გაწეროს სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები და განსაზღვრონ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. სკოლა იღებს ვალდებულებას დაიცვას მის ხელთ არსებული როგორც ელექტრონული ასევე მატერიალურად არსებული ინფორმაცია. სკოლა მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების (სოციალურ ქსელში გავრცელება) შემთხვევაში ღებულობს ნებართვას მშობლისგან. ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილზე დასწრების შესახებ (შეფასებები (განმავითარებელი/განმსაზღვრელი); გაცდენები; გამოცდები და ა.შ.) ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ინდივიდუალურად, პერსონალურად მიეწოდება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მოსწავლისა და მასწავლებლების პირადი საქმეები დაცულია კარადებში. სკოლაში მომუშავე პერსონალს აქვს ვალდებულება, სკოლის შესახებ საქმიანი ინფორმაცია არ გასცეს მესამე პირზე. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე წვდომის საშუალება აქვს მხოლოდ შესაბამის პასუხისმგებელ პირს.
დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემებზე და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი), რაც გულისხმობს პერსონალურ მონაცემების როგორც ელექტრონული, ისე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზღუნველყოფას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. სადაც მეორე მხარე აცხადებს თანხმობას, რომ მისი პერსონალური მონაცემები სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. ხელმოწერით აცხადებს თანხმობას სასკოლო აქტივობისას განახორციელოს მისი ფოტო-ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს საჭიროებისამებრ.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 10/10/2023 წ.-ის ბრძანება № 2-133 სკოლის პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. სკოლის არ წარმოუდგენია მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესისა და მონიტორინგის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი. თუმცა სკოლა პასუხისმგებელია დაიცვას მის ხელთ არსებული მონაცემები შემთხვევითი/ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისაგან. მაგ., სკოლას იზოლირებულად და მკაცრად აქვს დაცული მატერიალური სახით არქივი. ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას

ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას. პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს, დირექტორის მოადგილეს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე.

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში, გარდა წინასწარ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული ინფორმაციისა. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა და პერსონალის პირადი ინფორმაციის დაცვას და ასევე ესქულის ბაზის, ეფლოუსთან წვდომა შეზღუდულია და ხელი მიუწვდება მხოლოდ შესაბამის პირს/პირებს. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს მოსწავლის საუკეთესო ინეტერესებიდან გამომდინარე. კერძოდ, დამრიგებლები მშობელთა კრებებზე საუბრობენ მხოლოდ ზოგად საკითხებზე და საჯაროდ არ განიხილავენ მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას ან ყოფაქცევას, რათა არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და ღირსება.

მოსწავლის პირადი მონაცემებისა და აკადემიური მოსწრების კონფედენციალურობის დაცვა განპირობებულია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა: ელექტრონული ჟურნალი, სადაც ასევე გარანტირებულია მოსწავლის მონაცემების დაცვა და Teams-ის პლატფორმა, სადაც სრულად დაცულია მოსწავლის პერსონალური მონაცემები ელექტრონულ პროგრამაში (Teams) მუშავდება მოსწავლის შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფოტოსურათი (სურვილის შემთხვევაში), პაროლი, მოსწავლის გაკვეთილზე დასწრების შესახებ ინფორმაცია, საგაკვეთილო ცხრილი, შესრულებული დავალება, მასწავლებლის მიერ გაგზავნილი დავალების უკუკავშირი, ვიზუალური გამოსახულება და ხმა.

ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს, საქმისმწარმოებელს და საინფორმაციო მენეჯერს. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა თანამშრომლობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და საგანმანათლებლო დაწესებულების 2 მანდატურთან.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მიეცა რჩევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები გაწეროს სათანადო დოკუმენტში, რომლის მიზანიც იქნება განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბერი) და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 14/08/2023 წ.-ის ბრძანება № 2-13ო სკოლის პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასების და ანალიზის მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლის ხელმძღვანელობის განცხადებით, სკოლა მუდმივად ახორციელებს მონიტორინგსა და კონტროლს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების შესახებ, ახორციელებს შეხვედრასა და საუბრებს სასკოლო საზოგადოებასთან პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე. თუმცა, აქამდე არ დაფიქსირებულა მომართვიანობა აღნიშნული მექნიზმების არაეფექტურობასთან დაკავშირებით, ან გამოვლენილა რაიმე სახის დარღვევის ფაქტები.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დადასტურება (მტკიცებულებები):

- მასწავლებლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- სკოლის ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ წერილი.
- მჩეველთა საბჭოს ოქმი N2 2023წ
- მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ №554
- სადამრიგებლო საათი მე–3 კლასი (ანგარიში)
- ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის თაობაზე
- მშობელთა კრება ოქმი N3, პირველი კლასი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მშობელთა თანხმობა - პროექტი "მუსიკა და მცენარე"
- ვიზუალური დათვალიერება/ ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სწავლების სამივე - დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე და ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით, სკოლაში სწავლობს **309 მოსწავლე, აქედან 8 სსსმ მოსწავლე.** სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. თუმცა ორ ცვლიანი სწავლებისას, სკოლისთვის დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არის 650 მოსწავლე.
საჯარო რეესტრის ამონაწერით, სკოლა მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთში განთავსებულ შენობაში. სკოლას აქვს საკუთარი ტერიტორია: დაზუსტებული ფართობია 15924.00 კვ.მ. (შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/3 სკოლა გაშენების ფართი

1206.53კვ.მ., N02/1 - 187.8კვ.მ., N03/1 - 41.3კვ.მ.) სამსართულიანი სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის შენობა სრულადაა რეაბილიტირებული ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - მილენიუმის პროგრამის ფარგლებში და აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო ცხოვრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით: საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით.

სკოლას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, საკონფერენციო ოთახი, აქვს სამი დონის ახალი ინდივიდუალური მერხები და სკამები საჭირო რაოდენობით, დაფები, კარადები, მაგიდები მასწავლებლებისათვის, ლეპტოპები, კომპიუტერები, კომპიუტერული ლაბორატორია, მოძრავი დამტენი კარადა, პროექტორები, პრინტერები, სკამები სააქტო დარბაზისათვის, ექიმის კაბინეტი და მისი აღჭურვილობა, სამასწავლებლო, რესურსოთახი და მისი აღჭურვილობა, შიდა სპორტული დარბაზი გასახდელებით და სპორტული ინვენტარის ნაწილი, რომელიც საჭიროა საგაკვეთილო პროცესის წარმართვისთვის, ნაწილობრივ კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი. სკოლას გააჩნია აგრეთვე: სააქტო დარბაზი და რესურსოთახი, საკონფერენციო ოთახი, ბიბლიოთეკა მწირი საცავით და მცირე რაოდენობის კარადებით, მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარის საცავი, დაცული არქივი, ბუღალტერიის და საქმიწარმოების კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი. სკოლას აღჭურვილია ვიდეოკამერებით ყველა სართულზე და ყველა პერიმეტრზე (14 ვიდეოთვალი; ერთი მონიტორი), სკოლის ეზოში განთავსებული გათბობისთვის საქვაბე მეურნეობა და ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სათადიგო სისტემა (წყლის 500 ლიტრიანი ავზი). სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს სველი წერტილები ბიჭებისათვის/გოგონებისთვის, მათ შორის 1 ადაპტირებული შშმ პირებისთვის (შენობის პირველ სართულზე), კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შესაძენად საჭირო თანხა. იგეგმება დამატებითი კომპიუტერული კლასის შექმნაც, რომელიც აღჭურვილი იქნება საჭირო ციფრული ტექნიკით და სპორტული დარბაზისთვის საჭირო ინვენტარით უზრუნველოფა, რათა სრულყოფილად მოხდეს სპორტის გაკვეთილების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულფასოვნად ჩატარება. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის აუცილებლი სხვადასხვა მომსახურებისა თუ რესურსის შეძენის საკითხი, შესაბამისი ფინანსური ხარჯები.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლისათვის და საქმიანობისთვის ინკლუზიურ გარემოს. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებს გაკვეთილები უტარდებათ კეთილმოწყობილ ოთახებში, მოსწავლეებისთვის ლაბორატორიული ცდები ხორციელდება შესაბამისი ინვენტარით და რესურსით აღჭურვილ კაბინეტებში, ისტ-ის გაკვეთილები ტარდება კომპიუტერების კლასში, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები სპორტულ დარბაზში, სადაც წარმოდგენილია შესაბამისი აღჭურვილობა და სპორტული ინვენტარი. კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია ყველასათვის. ბიბლიოთეკა მუშაობს შესასვლელთან განთავსებული განრიგის მიხედვით. რესურს-კლასში წარმოდგენილი მატერიალური რესურსი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვის და მუშაობს სსსმ მოსწავლეებთან წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. ექიმის კაბინეტი ემსახურება მოსწავლეებს პირველადი დახმარების აღმოჩენისა და სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების უზრუნველსაყოფად. სკოლას აქვს მატერიალური რესურსებით აღჭურვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსოთახი. შენობის პირველი სართული არის ადაპტირებილი და ასევე არის სველი წერტილი შშმ პირებისთვის, თუმცა სკოლის შესასვლელი და შიდა სივრცეები არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთის, სკოლას არ აქვს პანდუსები/ლიფტი.
სკოლაში აქტიურად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები სააქტო დარბაზში, სადაც წარმოდგენილია მუსიკალური ინსტრუმენტი, მოსწავლეებისთვი ფუნქციონირებს ჭიდაობის წრე, ხდება საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება სხვადასხვა სასკოლო ინიციატივების განხორციელებისას, მოსწავლეები/მასწავლებლები/მშობლები ატარებენ სხვადასხვა შეხვედრებს. სამასწავლებლო და საგნობრივი კაბინეტები შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი) ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის. ადმინისტრაციული/ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონელით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიური გარემოს და თანაბარ ხელმისაწვდომ პირობებს ყველა მოსწავლისა და სასკოლო საზოგადოებისათვის. მაგ., ინდივიდუალური მერხები, ასაკზე მორგებული საპირფარეშოები, სამივე სართულზე განთავსებული ხელსაბანები ასაკისა და გენდერის შესაბამისად, შენობაში ასევე არის ადაპტირებილი სველი წერტილი შშმ მოსწავლეებისთვის, რაც ერთ-ერთი მაგალითია თანაბარხელმისაწვდომი და კომფორტული გარემოს უზრუნველსაყოფად. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დიფერენცირებული/ ინკლუზიური მიდგომებით, რაც თანაბარ ხელმისაწვდომობას და ჩართულობას განაპირობებს. სკოლის რესურსოთახი სათანადოდ არის აღჭურვილი ყველა შესაბამისი რესურსით, სადაც შესაბამისი კვალიფიკაციის, ინკლუზიურ განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები მუშაობენ სსმ მოსწავლეებთან. სკოლის სოციალური გარემო უდავოდ პოზიტიურია. სკოლის თანამშრომლებთან და ადმინისტრაციასთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კონფლიქტური სიტუაციები აცილებულია სკოლის ყველა რგოლში. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>
4.. სკოლის ადმინისტრაციას და პედ.კოლექტივს მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუტურა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ფიზიკური გარემო ისეა მოწყობილი, რაც მოოსწავლეებს სწავლის ხარიხს და მოტივაციას უმაღლებს და ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული რეკრეაციული სივრცეები, სკოლის შიდა ინფრასტრუქტურა (ვრცელი და ნათელი ფოიე, დერეფნები) გამოიყენება როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების საგამოფენო სივრცე: სკოლის დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები ხელს უწყობს სოციალიზაციას. სპორტული შეჯიბრებებისა და პრეზენტაციებისათვის სკოლა იყენებს ღია სპორტულ მოედანს და სპორტულ დარბაზს. აქტიურად გამოიყენება საკონფერენციო ოთახი და სააქტო დარბაზი. სკოლის შიდა ეზო საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პრაქტიკაში აითვისონ/განივითარონ სოციალური უნარები, სპორტის გაკვეთილების გარდა ღია სტადიონზე ტარდება ტურნირები და სხვადასხვა სპორტული აქტივობები. სკოლიამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, ასევე ღონისძიებები ასახულია სოციალურ ქსელ facebook-ის გვერდზე.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სსკოლის მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის კეთილმოწყობილი შიდა სივრცე: დიდი ზომის საკლასო ოთახები, მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისათვის გამოყოფილი ოთახები, კომპიუტერული და საკონფერენციო ოთახები, სააქტო და სპორტული დარბაზები სასწავლო მეცადინეობების გარდა გამოიყენება ისეთი აქტივობების განსახორციელებლად, როგორიცაა: სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა (პროექტები, კლუბებისა და წრეების ფუნქციონირება, საგაკვეთილო პროცესში ჯგუფური მუშაობა, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, საზეიმო ღონისძიებები. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში წარმოდგენილია შესაბამისი საჭირო რესურსი: საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც საერთოა ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის დისციპლინებისთვის სრულად აკმაყოფილებს კურიკულუმის მოთხოვნებს და უსაფრთხოების ნორმებს. ოთახში 11 ინდივიდუალური მერხია, რომელსაც საკუთარი წყლის ონკანი და ნიჟარა გააჩნია. მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში აჭარბებს მაგიდების რაოდენობას და ამიტომ დგას დამატებითი სკამები ერთ ონკანიან მაგიდასთან წყვილებში სამუშაოდ. ლაბორატორიაში გამართულად მუშაობს ამწოვი სისტემა, აქვს ნათელი და დიდი ფანჯრები, რომელიც დამატებით ბუნებრივი განიავების საშუალებას იძლევა. ქიმიური რეაქტივები ინახება კარადებში, რომელიც იკეტება გასაღებით. გამოყოფილია სადემონსტრაციო მაგიდა, რომელიც ასევე ონკანითაა აღჭურვილი. იატაკი დაფარულია მჟავა და ტუტე გამძლე საფარით. კედელზე გაკრულია დაფა. კარადებში უამრავი საჩვენებელი მულაჟი და ქიმიური ჭურჭელია, რომელიც იძლევა ექსპერიმენტებით სწავლების საშუალებას. კედლაბზე გამოკრულია სხვადასხვა საჩვენებელი პლაკატები და მოსწავლეთა მიერ შექმნილი პოსტერები ქიმიასა და ბიოლოგიაში;

ისტ-ის კაბინეტი აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით; კომპიუტერული ლაბორატორიაში არის 25 კომპიუტერი მონიტორებით, ყველა მასწავლებელს აქვს პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც ჩართულია ინტერნეტქსელში. მასწავლებლები იყენებენ პროექტორებს. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრები სწავლა-სწავლების პროცესის ხელშესაწყობად, განსაზღვრავენ გამოსაყენებელი რესურსების ნუსხას როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსების სახით. ყველა მატერიალური/ ელექტრონული რესურსი ასახულია კათედრების ოქმებში და სასკოლო კურიკულუმის ნაწილია, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სასწავლო რესურსების განახლება/გადახალისება შესაძლებელია მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში. რესურს ოთახიც აღჭურვილია ყველა საჭირო ციფრული ტექნოლოგიით სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ. საზოგადოებრივი მეცნიერებებს გაკვეთილებისთვის სკოლას შეძენილი აქვს რუკები, გლობუსები; უცხოური ენების (ინგლისური ენა) კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ლიტერატურით, თვალსაჩინოებებით. ოთახში გამოყოფილია სივრცეები/ზონები (სამუშაო და არაფორმალური შეხვედრებისთვის), გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. სსსმ პირებს წვდომა აქვთ კურიკულუმით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. რესურსები განთავსებულია როგორც საკლასო ოთახებში ასევე რესურსოთახში.

სკოლას აქვს მრავალარხოვანი საკომუნიკაციო სივრცე. მათ შორის სრული ინტერნეტიზაცია. კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახები სრულად მოიცავს როგორც საკაბელო ინტერნეტს, ასევე აღჭურვილია WI-FI აპარატურებით. IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის უსასყიდლოდ მიღების მიღება-ჩაბარების აქტი
- ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამების მიღება-ჩაბარების აქტი
- სპეცმასწავლებლის გაკვეთილზე დასწრების განრიგი
- მერხების მიღება - ჩაბარების აქტები
- ავეჯის უსასყიდლოდ მიღების მიღება-ჩაბარების აქტი
- დაწყ.კათედრის ოქმი N1 2022-23 წ.
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება;
- ზეპირი ინტერვი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება სხვადასხვა საქმიანობისათვის აქტიურად იყენებს არსებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებს. სკოლას აქვს მრავალარხოვანი საკომუნიკაციო სივრცე. მათ შორის სრული ინტერნეტიზაცია. კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახები სრულად მოიცავს როგორც საკაბელო ინტერნეტს, ასევე აღჭურვილია WI-fI აპარატურებით. IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის

სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს 14 პერსონალური კომპიუტერი, 3 პროექტორი, 3 მრავალფუნქციური პრინტერი, 3 პრინტერი, 20 ლეპტოპი, 1 მოძრავი დამტენი კარადა, 4 როუტერი და 4 WI-FI-ის მოწყობილობა. ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა ქმნის ეფექტურ და სწრაფ საკომუნიკაციო სივრცეს განათლების სისტემაში. ICT-ის ლაბორატორია ეფექტურად გამოიყენება როგორც სწავლა-სწავლების პროცესისათვის, ისე ICT-ის გაკვეთილების ჩასატარებლად, რაც უზრუნველყოფს 21-ე საუკუნის ციფრული უნარების განვითარებას. რესურს ოთახიც აღჭურვილია ყველა საჭირო ციფრული ტექნოლოგიით სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, პრინტერები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს ბლოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. გარდა ამისა, სამასწავლებლოც აღჭურვილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. მასწავლებლებს საშუალება აქვთ საგაკვეთილო პროცესშიც ისარგებლონ, როგორც კომპიუტერებით ასევე პროექტორით. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის, სხვადასხვა საგნობრივი კათედრები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს. გამოწვევებისათვის საპასუხოდ, სკოლამ ჩაატარა თვითშეფასება და გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2 დაწესებულება უზრუნველყოფს კომპიუტერების და შესაბამის მომსახურების ხელმისაწვდომობას, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლა სრულად დაფარულია ინტერნეტით, Wi-Fi სისტემის საშუალებით, უზრუნველყოფილია ინტერნეტით სარგებლობა ყველა საკლასო ოთახში. ასევე სკოლა გეგმავს დამატებით „კომპიუტერული კლასის“ შექმნას, ყველა საჭირო ციფრული ტექნიკით აღჭურვას და მის ხელმისწვდომობას სასკოლო საზოგადოებისათვის.

დაწესებულების მიერ მოწყობილია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო საზიარო სივრცეები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, კომპიუტერული კლასის და საზიარო სამუშაო სივრცის ფუნქციასაც ითავსებს, რომელთა სარგებლობაც შეუძლიათ როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს. სამუშაო საზიარო სივრცეები მასწავლებლებისათვის მოწყობილია ასევე სამასწავლებლოში. სკოლამ ჩაატარა გამოკვლევა, იმ მოსწავლეების და მასწავლებლების რაოდენობის დასადგენად, რომელთაც აქვთ აღნიშნული სამუშაო სივრცის გამოყენების საჭიროება. სკოლაში სამუშაო საზიარო სივრცეებით სარგებლობა შესაძლებელია წინასწარ განსაზვრული გრაფიკის მიხედვით.

სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა, ტექნიკაზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. ტექნიკური პრობლემების გადაჭრის კუთხით სკოლას გამოყოფილი ჰყავს ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მასწავლებლები. საინფორმაციო მენეჯერი პასუხისმგებელია ლეპტოპების აღრიცხვა-შენახვაზე. ის აღრიცხავს არსებულ ტექნიკას, ასევე ავსებს გატანა-შემოტანის აღრიცხვის ჟურნალს. აღნიშნულ ლეპტოპებს აქტიურად იყენებენ მოსწავლეებიც. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი კურიკულუმებით ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. სკოლის ხელმძღვანელობის განცხადებით, ისტ-ის ლაბორატორია ეფექტურად გამოიყენება როგორც სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე საგაკვეთილო პროცესების დასრულების შემდგომაც, როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებელებისათვის.კერძოდ, მოსწავლეები/მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ კომპიუტერული ტექნიკა/ინტერნეტთან წვდომის საშუალება, საშინაო დავალებებს ასრულებენ გაკვეთილების შემდგომ ICT-ის ლაბორატორიაში. ამასთანავე მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან სწრაფი კომუნიკაციის მიზნით, TEAMS-ის პლათფორმასა და სოციალურ ქსელებში შექმნილია ონლაინ სამუშაო ჯგუფები.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები**
- **მატერიალური და არამატერიალური რესურსების განკარგვის წესი.**
- **სკოლის ციფრული განვითარების გეგმა**
- **ვიზუალური დათვალიერება;**
- **ზეპირი ინტერვიუ**

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის

შესაბამისად, სკოლას აქვს გაერთიანებული საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალი, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. ჟურნალები გადანომრილი და ზონარგაყრილია. საქმის წარმოების წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. სკოლაში ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; საქმისწარმოება მიმდინარეობს საქმისმწარმოებლის მიერ როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. საქმისმწარმოებლის მოვალეობები გაწერილია სკოლასა და საქმისმწარმოებელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. სკოლის მართვა ხორციელდება ელექტრონული სისტემის Eflow, eschool, Office 365, Gmail პროფილების დახმარებით, სადაც ხდება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ვალდებულებების წარმოება. მის წარმოებაზე პასუხისმგებლები არიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი. თითოეულს აქვს თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე ეფლოუს პროფილები. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები Teams-ის პლათფორმასა და სოციალურ ქსელში. სკოლას ციფრული განვითარების თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების ერთწლიანიგეგმა.
დოკუმენტბრუნვის სკოლა იყენებს Eflow, eschool ელექტრონულ სისტემას, ელექტრონული ჟურნალს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი, პროფილში ყველა გვერდი არის სრულყოფილად შევსებული. სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას. სკოლას გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი პირი ბაზებთან სამუშაოდ. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. მასზე კონტროლს ახორციელებს დირექტორი. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (e-School.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პროტოკოლი. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, იცავს საქმისწარმოებით განსაზღვრულ ვადებს და თანამშრომლობს აღნიშნულ უწყებებთან. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას უზრუნველყოფს სკოლის საქმისმწარმოებელი. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან.
სკოლა ყოველწლიურად საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიშს აბარებს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით. წარდგენილ ინფორმაციას საქართველოს მაცნე აქვეყნებს პროცედურების დაცვით. ასევე სკოლის დირექტორი აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის და ფინანსური საქმიანობის შესახებ სამეურვეო საბჭოს. დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენის ფაქტი დასტურდება სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმების მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ერთიანი წესი
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- ბუღალტრის ხელშეკრულება
- ბრძანება მართვის საინფორმ. სისტემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N7 (1)
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი.</u> სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, სკოლის თითოეულ კლასს, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის, ელექტრონულ სივრცეში კერძოდ, მესენჯერში შექმნილი აქვს დახურული ჯგუფები, სადაც ხდება მნიშვნელოვანი სიახლეებისა და ცვლილებების ინფორმირება. სკოლამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწერილი წერილი, სადაც დახმარებას ითხოვს ვებ-გვერდის შექმნაში, პროცესი დაწყებულია. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია მოსწავლეთა მიღწევების შესახებ კომენტარები იხილონ ელექტრონულ ჟურნალებში მშობლის სტატუსით. საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგებისთვის სკოლა იყენებს საინფორმაციო დაფას, სადაც სასკოლო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საჯარო ინფორმაციას, წახალისებისა და დისციპლინური სახდელების შესახებ ბრძანების ასლებს და ინფორმაციებს აკრავს.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და მტკიცებულებები, რომ აამუშავებს სკოლის ვებ გვერდს და განათავსებს მასზე სტანდარტის შესაბამის ინფორმაციას/დოკუმენტაციას (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბერი - 2023 წლის დეკემბერი). ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას სოციალური ქსელით და სკოლის საინფორმაციო დაფის დახმარებით. საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შიდანორმატიული აქტები სანდო/უტყუარია. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი სოციალურ ქსელის ადმინისტრირებისათვის. სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს ინფორმაციის გავრცელების მონიტორინგს, რაც მცდარი ინფორმაციების გავრცელების ალბათობას ფაქტობრივად გამორიცხავს. სკოლა მშობელს აწვდის ინფორმაციას სკოლის მიზნების, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების, ასევე მათი შვილის/შვილების მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. სკოლა ასევე მშობლებს რთავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგ., სამეურვეო საბჭოში მშობელთა მონაწილეობა. სკოლა ატარებს საინფორმაციო ღონისძიებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს, რის ფარგლებშიც მშობელი ეცნობა თავისი შვილი/შვილების პროგრესსა და წარმატება/წარუმატებლობას

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. სკოლას გააჩნია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებასთან, ცვლილებებთან და განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმირების, მათგან უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები. სკოლა აქტიურ თანამშრომლობას ახორციელებს სასკოლო საზოგადოებასთან, მაგ., მშობლებთან. იგი დამრიგებლების საშუალებით აცნობს მნიშვნელოვან მოვლენებს, აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს, ისმენს რეკომენდაციებს, ინიციატივებს და ითვალისწინებს მას. სკოლა ამ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია გამოკითხვის ფორმა, რომელიც ანონიმურია და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. <u>სკოლას არ აქვს ვებ გვერდი.</u> თუმცა სკოლას გააჩნია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებასთან, ცვლილებებთან და განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმირების, მათგან უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე და ფეისბუქ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა თანამშრომლობას ახორციელებს სასკოლო საზოგადოებასთან, მაგ მშობლებთან. იგი დამრიგებლების საშუალებით აცნობს მნიშვნელოვან მოვლენებს, აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს, ისმენს რეკომენდაციებს, ინიციატივებს და ითვალისწინებს მას. სკოლა ამ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და მტკიცებულებები, რომ აამუშავებს სკოლის ვებ-გვერდს და განათავსებს მასზე სტანდარტის შესაბამის დოკუმენტაციას (შესრულების ვადა - 2023 წ. სექტემბერი - 2023 წ. დეკემბერი). ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. <u>სკოლას არ აქვს ვებ გვერდი.</u> მაგრამ მიმართა განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრს წერილით, რომ მოხდეს სკოლის ვებგვერდის ჩაშენება სკოლების ერთიან საინფორმაციო პორტალზე, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს განათლების საინფორმაციო სისტემა (EMIS). სკოლამ წარმოადგინა პორტალის გამოყენების შესახებ ინსტრუქციები და გეგმავს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ჰქონდეს საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება სკოლის შესახებ სრულყოფილი საჯარო ინფორმაცია: სკოლის მისიის, სამოქმედო გეგმის, სტრუქტურის და მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ, მათ შორის გააზიარებს ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებს შესახებ, სამომავლო ინიციატივებს, გეგმებს, სიახლეებს, რაც სასკოლო საზოგადოების უფრო მეტად აქტიურ ჩართულობას შეუწყობს ხელს, ხოლო სკოლა გააუმჯობესებს და გაამარტივებს კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების თითოეულ რგოლსა და წევრს შორის.

<u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და მტკიცებულებები, რომ აამუშავებს სკოლის ვებ-გვერდს და განათავსებს მასზე სტანდარტის შესაბამის დოკუმენტაციას (შესრულების ვადა - 2023 წ. სექტემბერი - 2023 წ. დეკემბერი). ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სოციალური ქსელი;**
- **სკოლის სტენდი**
- **ელექტრონული ჟურნალი**
- **ვებპორტალის გამოყენების ინსტრუქცია**
- **ვიზუალური დათვალიერება**
- **ზეპირი ინტერვიუ**

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად ფინანსური რესურსის გათვალისწინებით რეგულარულად დგება სკოლის ბიუჯეტი, დგება შესყიდვების გეგმები, წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საოფისე ხარჯები და მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხარჯები. სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, ეკონომიკური საქმიანობით (იჯარით გაცემული ფართები) სკოლა მოიპოვებს დამატებით შემოსავლებს, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მიემართება; შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები.
სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლა შეიმუშავებს როგორც საპროგნოზო, ასევე ფაქტობრივ ბიუჯეტს. ახდენს თვიურ ფინანსურ ანგარიშგებას. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება კანონმდებლობის შესავამისად. სკოლის ბიუჯეტი ძირითდად ხელფასების დაფარვაზეა ორიენტირებული, რადგან სკოლას პერიოდულად სჭირდება ფინანსური დახმარება, რათა უზრუნველყოს კომუნალური გადასახადების სრულად დაფარვა. დამატებითი ფინანსებით სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო უზრუნველყოფს.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა: ფინანსურ დაგეგმვას ახორციელებს წინა სასწავლო წელს გაწეული ფაქტიური ხარჯების, მიმდინარე წლის შემოსავლებისა და სკოლის მიერ შემუშავებული პრიორიტეტების გათვალისწინებით, შემუშავებული აქვს ყოველკვარტალზე გათვლილი მონიტორინგი, რომელიც ამოწმებს შემოსულ თანხებსა და გასულ დანახარჯებს. სკოლას აქვს სამოქმედო გეგმის შესაბამისი დაფინანსების დინამიკა; სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები; სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის N8 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სამეურვეო საბჭოს ოქმი N8 22.12.2022**
- **საპროგნოზო ბიუჯეტი**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმი 7 (1)**
- **დააკაბეთის სკოლა. 10 დეკემბრის ფინანსური ანგარიში 2022)**
- **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N8 22.12.2022**
- **2022 წლის ფინანსური ანგარიში. ბალანსი**
- **2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი ბარათი.15.02.2023წ**
- **ვიზუალური დათვალიერება**
- **ზეპირი ინტერვიუ**

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა: სკოლის შინაგანაწესში შეტანილია მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის დამადასტურებელი ჩანაწერები. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების საგანია, ზოგადი განათლების მიღების მიზნით, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის წარმოშობილ ურთიერთობებში, მოსწავლის ინტერესების დაცვისა და სასკოლო მიზნების მიღწევის ხელშეწყობა. „მოსწავლის ქცევის კოდექსი“ და „ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია“ეცნობება სასკოლო საზოგადოებას კლასის დამრიგებლების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კლასის საათების და მშობელთა კრების ფარგლებში. სკოლის განცხადებით, მოსწავლეთა თვითმმართველობა ცდილობს მოსწავლეებს გაუწიოს დახმარება უფლებების დაცვის მიმართულებით. მოსწავლეებმა იციან რომ თუ რაიმე ინიციატივა გაუჩნდათ, რომელიც სასკოლო ცხოვრებას გააუმჯობესებს, უნდა მიმართონ შუალედურ რგოლს-თვითმმართველობას და მათი დახმარებით უნდა მიეცეს მსვლელობა თავისუფალი აზრის გამოხატვას.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია 2022-2023 წლის სასწავლო გეგმაში, 2023-2024 სასწავლო კურიკულუმში და შინაგანაწესში.
სკოლის შინაგანაწესი, ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 5. სკოლასა და დასაქმებულებს/მოსწავლეებს შორის აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო; მუხლი 8. თ) მოსწავლეების წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი; ი) მატერიალური პასუხისმგებლობა; კ) სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები; ლ) მოსწავლის ჩაცმულობის წესი; ნ) განცხადების/საჩივრის განხილვა; ო) ექსკურსიის ორგანიზება; მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 22. დასაქმებულთა/მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი;
სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგი დოკუმენტაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის შინაგანაწესის და ,,მოსწავლის ქცევის კოდექსის," ,,ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის" გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის ხდება კლასის დამრიგებლების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კლასის საათების და მშობელთა კრების ფარგლებში. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლი ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. მოსწავლის ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომა დამრიგებლის დახმარებით ეცნობება მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და სკოლის ადმინისტრაციას. გადაცდომაზე რეაგირება დეტალურადაა გაწერილი დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. მაგ., ბრძანების ჩანაწერში იკითხება: ...მოსწავლეს ,,გაკვეთილის ჩაშლის მცდელობისათვის" შინაგანაწესის .....მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის თანახმად, გამოეცხადოს ,,გაფრთხილება". დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით სკოლა აწარმოებს გამოცემული ბრძანებების რეესტრს. ამასთანავე კაკაბეთის საჯარო სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლი ჰოლში კედელზე თვალსაჩინო ადგილზე და ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მშობელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს სკოლასა და ამავე სკოლის მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ინფორმაციას მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, სასწავლო/დასვენების დროის, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადის და შეწყვეტის წესს, ინფორმაციას დავების გადაწყვეტას და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ, დამატებით პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს. ხელშეკრულება დადებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად და ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში ნათლად ჩანს მშობელთა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები. მოსწავლის ვალდებულებები.

ხელშეკრულების მიხედვით, სკოლა ვალდებულებას იღებს მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით, უზრუნველყოს მოსწავლის ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის შესაძლებლობა. ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა პუნქტი არის მკაფიო, გამჭვირვალე და ემსახურება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაზიარებას. სკოლა დარწმუნებულია, რომ თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დამრიგებლების მიერ ინფორმირებული თანხმობის შედეგად აფორმებს ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი მშობელს გაცნობის შემდეგ ეძლევა ხელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შინაგანაწესი**
- **მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება**
- **2022/23 წლის სასწავლო გეგმა**
- **კურიკულუმი**
- **მოსწავლის ქცევის კოდექსი**
- **მშობელთა კრების ოქმი კურიკულუმის და შინაგანაწესის გაცნობა**
- **ბრძანება სკოლის მოსწავლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ**
- **ინდივიდუალური შეხვედრის ოქმი მშობელთან**
- **კლასის საათის ოქმი N2 მე–8კლასი უფლებები**
- **ვიზუალური დათვალიერება**
- **ზეპირი ინტერვიუ**

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს ერთიან დოკუმენტად. მასში დააკონკრეტებულია სკოლის მიერ განსახორციელებელი ქმედებები (კანონმდებლობის შესაბამისი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები) და სკოლა ჩამოთვლილ მექანიზმებს შინაგანაწესის და კანონმდებლობის შესაბამისად იცავს და ახორციელებს, კერძოდ: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით" (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017)), მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებლი. სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10/20/45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ.

ეროვნული სასწავლო გეგმა (მუხლი 35) განსაზღვრავს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს, ხოლო ბრძანება 72/ნ არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას. მშობელი მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის ზოგად წესებს იგებს შინაგანაწესიდან, დამრიგებლის მიერ ჩატარებული მშობელთა კრებიდან ან კონსულტაციის სახით დირექციისაგან. საფეხურის დაძლევა ხდება პედსაბჭოს ოქმით და გამოიცემა შესაბამისი ბრძანება. მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის შედეგები ცნობილი ხდება მშობელთა კრების ჩატარების შედეგად, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად. სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს, ასევე სტატუსის აღდგენის წესებს არეგულირებს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, რომელიც სკოლას მოეწოდება ადგილობრივი რესურსცენტრის დახმარებით. სკოლას მიმდინარე სასწავლო წელსაც ყავდა მობილობით გადმოსული მოსწავლე, რომელსაც არ ქონდა დაძლეული კლასი. იგი ჩვენს სკოლაში ჩაირიცხა ასაკის შეუსაბამოდ და სწავლა გააგრძელა იმავე კლასში, რომელიც დაძლეული ქონდა. ასაკობრივი ექსტერნის გამოცხადების და ჩატარების ვადების შესაბამისად დარეგისტრირდა ეს მოსწავლე გამოცდებზე და ექსტერნის კომისიის გადაწყვეტილებით დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა მისი შედეგები. შესაბამისად ყველა წესის დაცვით, მათ შორის კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანებით იგი გადაყვანილი იქნა ასაკის შესაბამისად მომდევნო კლასში. მობილობით გადმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი აცნობს სასკოლო გარემოს, საკლასო სივრცეს, წარუდგენს კლასს მას შემდეგ, რაც გაესაუბრება მოსწავლეს და გამოავლენს მის ინტერესებს. დაკვირვებას აწარმოებს კლასის მიერ მიმღებლობაზე. პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა მიმდინარეობს გამოცემული კანონმდებლობის შესაბამისად და ჩვენი პრაქტიკით დაწყებითის მასწავლებელი/მასწავლებლები წინასწარ თანამშრომლობენ სოფელში განთავსებულ საბავშვო ბაღებთან, და მეტ-ნაკლებად იღებენ ინფორმაციას შემომსვლელი პირველკლასელების შესახებ. პირველ ეტაპზე ხდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების განაცხადების გაგზავნა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის შეფასების მიზნით.

<u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**</u>

2.. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება,რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლის ხელმძღვანელობის განმარტებით, პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა მიმდინარეობს გამოცემული კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთანავე

დაწყებითის საფეხურის მასწავლებელი/მასწავლებლები წინასწარ თანამშრომლობენ სოფელში განთავსებულ საბავშვო ბაღებთან, რათა მოიპოვონ ინფორმაცია სკოლაში შემომსვლელი პირველკლასელების შესახებ. სკოლა ასევე თანამშრომლობს სოფელში არსებულ სამედიცინო დაწესებულების პერსონალთან და იღებს ინფორმაციას დასარეგისტრირებელი მოსწავლეების რაოდენობის შესახებ. პირველკლასელთა დარეგისტრირების შესახებ საკანონმდებლო აქტები სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, რაც პროცესს გამჭვირვალეს ხდის. პირველ ეტაპზე ხდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების განაცხადების მიღება და გაგზავნა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის შეფასების მიზნით. მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის წესები ცნობილია მოსწავლეებისათვის დამრიგებლების დახმარებით. საკანონმდებლო აქტები ამ პროცესების მიმდინარეობის შესახებ გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლისათვის.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლის შიდა პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრულია შინაგანაწესით, საჯაროდაა ხელმისაწვდომი გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდაა გამოკრული სკოლის ფოიეში. მოსმახურების სახეები, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული ასევე საჯაროა იმდენად, რამდენადაც მას სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს კლასის დამრიგებლები, ხოლო თვითონ სასკოლო სასწავლო გეგმა თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედსაბჭოზე. ამდენად, ინფორმაცია ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავჯდომარისთვის.

სკოლა სთავაზობს მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად. ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ხდება სკოლის დირექციის მიერ, ორი უცხო ენის შეთავაზება და სურვილის მიხედვით მოსწავლეთა გადანაწილება რუსული ენისა და გერმანული ენის მიმართულებით. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, ხდება რემედიაციული მიდგომების განხორციელება საგნის მასწავლებლების მხრიდან. სკოლამ მიმდინარე წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრა საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე მისაღები შიდასასკოლო გამოცდები. მოსწავლის სემესტრული ნიშნის ამაღლება/შენარჩუნება ხდება სასკოლო კურიკულუმში გაწერილი სპეციალური პუნქტის შესაბამისად (სემესტრული გამოცდა). სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რომელსაც ხემძღვანელობს ბიოლოგიის მასწავლებელი. მას აქვს კლუბის წესდება და პროგრამა.

სკოლა ყოველწლიურად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სასკოლო პროექტებს მოსწავლეთა მხარდასაჭერად. მოსწავლეთა თვითმმართველობის დახმარებით შექმნილი სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები ყოველწლიურად მონაწილეობენ კონკურსებსა და ინტელექტთამაშებში. გასულ წელს მუნიციპალურ დონეზე მოიპოვეს პრიზი ,,ბროლის ბუ“. სამომავლოდ ვგეგმავთ უფრო მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობას და ხელშეწყობას.

ფუნქციონირებს სკოლის სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯთან, რომელიც სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართზე ახორციელებს ,,კულინარიის“ სპეციალურ პროგრამას. იგი ტარდება გაკვეთილების შემდეგ კვირაში ორი დღე. მოსწავლეები სწავლობენ კულინარიის სპეციალობას. ჯფუფის წევრები თანატოლებს აცნობენ პროგრამის ელემენტებს და პროფესიის პოპულარიზებას ეწევიან მათთან., მუსიკის სტუდია, რომელთა შესახებაც ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა ფორმალურ/არაფორმალურ გარემოში განხორციელებული სასწავლო აქტივობებისა და პროექტების დროს ფოტოების გამოყენებისათვის ითანხმებს მშობლებს წერილობით. სკოლის მიერ გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს.
სკოლაში არსებული კლუბების, სხვადასხვა პროგრამების შესახებ ინფორმაცია არის აგაზიარებული სასკოლო საზოგადოებისათვის. სხვადასხვა აქტივობების და პროექტების, პროგრამების, კონკურსების შესახებ ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება კლასების დამრიგებლების დახმარებით ონლაინ სივრცეში შექმნილი მშობელთა და მოსწავლეთა ჯგუფებში გაზიარებით. ასევე ინფორმაცია გამოქვეყნებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- E-school-ის ბაზა;
- სოციალური ქსელი;
- შინაგანაწესი 2022 წელი ცვლილებით
- ბრძანება მე–8 კლასში გ. ო.-ს ჩარიცხვის შესახებ
- ბრძანება მე–7 კლასის მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ
- მიმართვის ფორმა განცხადება პირველკლასელთა რეგისტრ. პროცესში
- მშობელთა კრების ოქმი მე–4ა კლასი მეორე უცხო ენების არჩევა
- მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევა მე–4ბ კლასი
- პროექტი ''მუსიკა და მცენარე'' მშობელთა თანხმობა
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში. ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგ., დაწყებითი კლასების მასწავლებელი/მასწავლებლები წინასწარ თანამშრომლობენ სოფელში მდებარე სკოლამდელ დაწესებულებებთან - საბავშვო ბაღებთან, ასეთი სკოლამდელი დაწესებულება სოფელში ორია და მათთან ურთიერთობით იღებენ ინფორმაციას შემომსვლელი პირველკლასელების რაოდენობის და შესაძლებლობების შესახებ. სკოლა თანამშრომლობს ასევე ამ მიმართულებით სოფელში მდებარე ამბულატორიასთან და იქიდანაც იღებს გარკვეულ საჭირო ინფორმაციას. პირველ ეტაპზე ხდება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების განაცხადების გაგზავნა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის შეფასების მიზნით. სსსმ მოსწავლე ეცნობა სპეციალურ მასწავლებელსაც, ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლეების თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების შესახებ. ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლას თითოეულ სსსმ მოსწავლეზე შექმნილი აქვს ადაპტაციის წესი.
მობილობით გადმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი აცნობს სასკოლო გარემოს, საკლასო სივრცეს. დამრიგებელი მას წარუდგენს კლასს მას შემდეგ, რაც გაესაუბრება მოსწავლეს და გამოავლენს მის ინტერესებს, შემდეგ კი დაკვირვებას აწარმოებს კლასის მიერ მიმღებლობაზე.სკოლამ წარმოადგინა გატარებული ღონისძიებების და ახალი მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, სკოლას გააჩნია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის კლასებში მერხები განლაგებულია ასაკის შესაბამისად. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საჭიროების შესაბამისად ავეჯის გადაადგილება. სკოლის შენობაში განთავსებულია მოწესრიგებული სველი წერტილები სართულების მიხედვით. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი საჭირო რესურსებით და ავეჯით, ასევე, ადაპტირებული სველი წერტილებით. რესურს ოთახში მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სკოლას ყავს 8 სსსმ მოსწავლე, მათთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს ორი სპეციალური მასწავლებელი და ორი ასისტენტი. ისინი საჭირო მომსახურებას უწევენ სსსმ მოსწავლეებს და საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა გადაადგილება არის თავისუფალი, საკლასო ფიზიკური გარემო მორგებულია ასაკობრივად, დაწყებითი კლასები მე-2 სართულზეა განთავსებული საკუთარი სველი წერთილებით,. სსსმ მოსწავლეებიც თავისუფლად გადაადგილდებიან საკლასო ოთახებშიც და დერეფნებშიც. დამრიგებლები სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთან მუშაობას აწარმოებენ ინკლუზიური და ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისათვის კლასის საათებზე. ატარებენ საუბრებს ინდივიდუალურადაც. მშობლების აქტიური ჩართულობით ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მხარდაჭერის მიზნით, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. როგორც სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კურიკულუმის ნაწილში არის მითითებული, თითოეული საგნის მასწავლებელმა ყოველი სემესტრის ბოლოს უნდა შეაფასოს მოსწავლეები განმავითარებელი შეფასებებით და შეიტანოს იგი ელექტრონულ ჟურნალში ბოლო საგაკვეთილო დღეს. მშობელი და მოსწავლე უკეთ არიან ინფორმირებული ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ეს პროცესები მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის მიერ სწავლა/სწავლების ხარისხის დინამიკის შესწავლაში, რაზე დაყრდნობით იგი კონკრეტულ გეგმას შეიმუშავებს მოსწავლის საჭიროებების აღსაკვეთად. შემდგომ ისევ შეაფასებს მოსწავლეს და აკეთებს ანალიზს. სკოლის ხელმძღვანელების ცნობით, ეს პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით მიმდინარეობს.

საგნის მასწავლებლები მუდმივად აწარმოებენ მოსწავლეთა კონსულტირებას საჭიროებიდან გამომდინარე, მაგრამ დოკუმენტურად არ ასახავენ მას. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარეების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებელები წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4 კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სკოლა მოსწავლეებს დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას ექსტერნატის, ნიშნის ამაღლების, საშემოდგომო გამოცდის გამოცხადების შესახებ და უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებას. მშობლის მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ მოახდინა მოსწავლის შინ სწავლებაზე გადაყვანა და შესაბამისი მხარდაჭერა. სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართულია როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ასევე კათედრები.
სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლას აქვს წარმატებული პრაქტიკა მოსწავლეების მხარდასაჭერად ექსტერნატის გამოცდების ჩასატარებლად. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება ექსტერნატის გამოცდები. გამოცდების დაწყებამდე საგნის მასწავლებლები კონსულტაციას ატარებენ დარეგისტრირებულ მოსწავლესთან შესაბამისი განრიგის მიხედვით. საგნის მასწავლებლები ჩართული არიან რემედიაციულ აქტივობებში, რათა მოსწავლეებს მოტივაცია შეუქმნან და ცოდნის შეძენის სურვილი გაუღვივონ.
სკოლის ინფორმაციით, სკოლას ყავს კვალიფიციური ექიმი, რომელსაც დამრიგებლები კლასის საათის ფარგლებში იწვევენ კლასში და საუბრობენ ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. სკოლას დიდ დახმარებას უწევენ მანდატურები, დამრიგებლები აქტიურად თანამშრომლობენ მათთან. მათი უშუალო დახმარებით მოხდა 3 მოსწავლის გადამისამართება ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში საკონსულტაციოდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით, სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ორგანიზებას და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: სკოლა ინტენსიურად ანხაორციელებს სასკოლო პროექტებს, რაშიც ჩართულია სკოლის ყველა კათედრა და კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება არაფორმალურ გარემოში მუშაობა. მასწავლებლების ინფორმაციით, სასკოლო პროექტი უკვე ორი წელია შემუშავდება მოსწავლეთა ჩართულობით და თითოეული კათედრის მიერ შერჩეული ქსური დავალებების გამოყენებით მიმდინარეობს. თითოეული კათედრა ირჩევს სამიზნე ჯგუფს მოსწავლეებიდან და ორგანიზებას უწევს მათ. ფორმალური სწავლების გარემოში მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მუშაობს STEM მინი პროექტების განხორციელებაზე, მაგ. მათემატიკამ და ფიზიკამ ერთობლივად განახორციელეს პროექტი - ,,ქარის ელექტროსადგური“.
სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია და შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად მუშაობს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მაგ. სკოლის მიერ შეთავაზებული თემებიდან სასწავლო წლის განმავლობაში დასამუშავებელ სასკოლო პროექტი - ,,გარემოს დაცვა სუფთა წყლით უზრუნველყოფის საწინდარია“, თვთმმართველობამ მოსწავლეებს შორის ჩატარებული გამოკითხვით გამოავლინა. სკოლა მხარს უჭერს ასევე მოსწავლეთა ინიციატივით გამართულ სპორტული, საკლუბო და საწრეო საქმიანობის წარმართვას სააქტო დარბაზის, სპორტდარბაზის, სკოლის სივრცეების, ასევე შესაბამისი

მატერიალური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფით. სკოლაში არსებული კლუბების ფარგლებში მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. სამომავლოდ სკოლა გეგმავს უფრო მეტი პროექტის განხორციელებას ინტეგრირებულად და მოსწავლეთა გამოკითხვის საფუძველზე დამატებითი კლუბების შექმნას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის პრაქტიკა, რომელსაც ის იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ასევე სკოლა იღებს უკუკავშირს სხვადასხვა სტრუქტრული ერთეულების მხრიდან, მაგალითად მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება სკოლისთვის აქტუალური საკითხები, რომელთა გათვალისწინება ხდება სკოლის საქმიანობაში. მაგ., დისტანციური სწავლების დროს ჩატარდა ონლაინ გამოკითხვები კომპიუტერულ მოწყობილობებზე და ინტერნეტზე წვდომის შესახებ, ასევე დისტანციური სწავლებისას, სკოლის მასშტაბით ჩატარდა კვლევაიმის დასადგენად, თუ რამდენი მოსწავლე უსმენდა საგანმანათლებლო პროექტ ,,ტელე სკოლის" მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და სხვა...

საჭიროების გამოკვეთის შემდეგ, სკოლაში კლასის დამრიგებლების ორგანიზებით/დახმარებით ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვები, როგორც მატერიალურად - შედგენილი კითხვარებით, ასევე ელექტრონულად. სკოლის კითხვარებით გამოვლინდა ისეთი პრიორიტეტული საკითხების განვითარების მზაობა, როგორიცაა: სკოლის არაფორმალური განათლება, უსაფრთხოება. სკოლა გეგმავს მომავალ სასწავლო წელს განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები. .

ამასთანავე სკოლა აფორმებს მემორანდუმებს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და მათ სტუდენტებს ეხმარება პრაქტიკის გავლაში. მიმდინარე წელს სკოლას ყავდა ორი პრაქტიკანტი სტუდენტი, რომლებიც დამრიგებლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფებთან ერთად ახორციელებდენ სხვადასხვა გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით კითხვარების შედგენას და გამოკითხვის ჩატარებას წინასწარ შერჩეულ ფოკუსჯგუფებში მაგ., ჩატარდა გამოკითხვა სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად და გამოიკვეთა პრიორიტეტები, რა მიმართულებითაც უნდა იმუშაოს სკოლამ, რომ ციფრული მიმართულებით სწავლა-სწავლება უფრო ეფექტური გახადოს. სკოლა სამომავლოდაც გეგმავს წავლა/სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად მეტი კვლევის ჩატარებას და შეფასებების განხორციელებას, ასევე გეგმავს მოსწავლეთა ინიციატივების უკეთ წარმოსაჩენად, მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის ელექტრონულ სივრცეში შექმნას სპეციალური გამოკითხვის ჯგუფი მოსწავლეთათვის..

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მიმართვის ფორმა - განცხადება პირველკლასელთა რეგისტრ. პროცესში
- ბრძანება სსსმ მოსწავლის ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ
- ელექტრონული ჟურნალის მონაცემები/ საბაზო საფეხური განმავითარებელი შეფასება
- სადამრიგებლო საათი მე–3 კლასი, ანგარიში
- ბრძანება ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების განრიგის დაამტკიცების შესახებ 2023 წ.
- ბრძანება ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების შედეგების დამტკიცების შესახებ
- ბრძანება ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების მიზნით საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თბილისის თავისუფალ აკადემიასა და კაკაბეთის სკოლას შორის გაფორმებული მემორანდუმი
- გამოკითხვის შედეგები - კომპ. ტექნიკის წვდომა
- სკოლის შინაგანაწესი
- განხორციელებული პროექტები/პროექტების ანგარიშები
- თვითმმართველობის დებულება
- სადამრიგებლო პროგრამა
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ ორიენტაციისა და კარიერულ დაგეგმვას სკოლა ახორციელებს არაფორმალურ აქტივობების გზით. დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება სკოლაში ხორციელდება, ძირითადად დამრიგებლების დახმარებით, კლასის საათების ფარგლებში მე-9 კლასისია და საშუალო საფეხურის დამრიგებლების დახმარებით კლასების მოსწავლეებთან. პროფორიენტაციის კუთხით, დამრიგებლები შეძლებისდაგვარად ეხმარებიან აბიტურიენტებს პროფესიის შერჩევაში: აჩვენებენ სასწავლო დანიშნულების ფილმებს, მართავენ დისკუსიებს, მოსწავლეებს აცნობენ სხვადასხვა პროფესიებს და დეტალურად ესაუბრებიან მათ მნიშვნელობაზე. პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, სკოლაში მოდიან სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები და ხვდებიან მოსწავლეებს, რათა გააცნონ თავიანთი სასწავლებლები. ასევე, სკოლის კურსდამთავრებული სტუდენტები რამოდენიმეჯერ ესტუმრნენ სკოლას საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურეობის გასაწევად. ზოგჯერ უმაღლესი სასწავლებლები აწვდიან სკოლებს საინფორმაციო ბუკლეტებს, ბროშურებს მოსწავლეებისთვის გადასაცემად და გასაცნობად.
განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯთან, რომელიც სკოლაში მე-8 და მე-9 კლასელებთან ახორციელებს ,,კულინარიის“ სპეციალურ პროგრამას. მეცადინეობები ტარდება გაკვეთილების შემდეგ, კვირაში ორი დღე. მოსწავლეები სწავლობენ კულინარიის სპეციალობას. კოლეჯის წარმომადგენლები პროფორიენტაციას უწევენ ჯგუფის წევრებს. მაგ, ჯგუფი ყავდათ ექსურსიაზე პროფესიულ კოლეჯში და დეტალურად გააცნეს სასწავლო გარემო. ამასთანავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის წევრები თანატოლებს აცნობენ პროგრამის ელემენტებს და მათთან კულინარის პროფესიის პოპულარიზებას ეწევიან. ასევე კაჭრეთის პროფესიული კოლეჯის „აისის“ ხელმძღვანელობამ სურვილი გამოთქვა სკოლის სსსმ მოსწავლეები ჩარიცხიოს სასწავლებელში სხვადასხვა პროფესიების ასათვისებლად. ამჟამად სკოლას ყავს ერთი სსსმ მოსწავლე, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სწავლა გააგრძელოს მითითებულ კოლეჯში. კოლეჯს აქვს საკუთარი საერთო საცხოვრებელი და ბინითაც უზრუნველყოფს მას. სამომავალოდ, სკოლა გეგმავს მოიწვიოს პირველკურსელები პროფესიული ორიენტაციის კუთხით შეხვედრების ჩასატარებლად და ამ პროცესს მისცეს რეგულარული სახე. ასევე გეგმავს სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების მიმართულებით სკოლის ხედვის შემუშავებას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე /ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით. სკოლა ორგანიზებულად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; ამისათვის მას შემდეგ რაც ნაეკის მიერ გამოიცემა ცნობარი აბიტურიენტებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში რეგისტრაციისათვის, სკოლა დამრიგებლების დახმარებით დეტალურად აცნობს მე-12 კლასელებს. დირექცია დამრიგებლებთან ერთად ეხმარება აბიტურიენტებს პროფესიების და სასწავლებლების შერჩევაში. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უთითებს ლინკსაც, სადაც შეეძლებათ მიიღონ ელექტრონული ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. სამომავლოდ იგეგმება სკოლის სტუდენტი კურსდამთავრებულების მოწვევა აბიტურიენტებთან პროფესიული ორიენტაციის პროგრამის ჩასატარებლად.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. პროფორიენტაციის კუთხით, სკოლა აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებებს. მაგ, კაჭრეთის კოლეჯის წარმომადგენლები პროფორიენტაციას უწევენ კულინარიის პროგრამის ჯგუფის წევრ მოსწავლეებს, ჯგუფი ყავდათ ექსურსიაზე პროფესიულ კოლეჯში და დეტალურად გააცნეს სასწავლო გარემო. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ატარებს გამოკითხვას, უმაღლესი სასწავლებლების და სასწავლო პროგრამების/პროფესიების მიხედვით, რამდენი კურსდამთავრებული გახდა სტუდენტი. შემდგომ ანგარიშებში აკეთებს შეფასებას. სკოლის ადმინისტრაცია სამომავლოდ გეგმავს უზრუნველყოს მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება, რომლის მიზანი იქნება პროფორიენტაციის კუთხით სკოლის გაძლიერება. მომავალი წლისთვის იგეგმება საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შორის ჩატარდეს კვლევა კითხვარების გამოყენებით და გამოკვეთოს პროფორიენტაციის საჭიროებები, კვლევის შედეგების შეფასების შემდგომ, წარიმართოს სადამრიგებლო მუშაობა ამ მიმართულებით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

<u>სკოლას მიეცა რჩევა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს და გაწეროს დაგეგმილი მომსახურების შეფასების მექანიზმები, რომელთა საფუძველზეც შეაფასებს საქმიანობას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა
- საშუალო საფეხურის კლასების დამრიგებელთა ანგარიშები
- კლასის საათი პროფორიენტაცია მე-9 კლასი დანართი1 21.10.2022 -ანგარიში
- კაჭრეთის პროფესიული კოლეჯ ,,აისსა" და კაკაბეთის სკოლას შორის გაფორმებული მემორანდუმი
- კლასის საათი - პროფესიული ორიენტაცია ანგარიში
- პროგრამა კულინარიის ხელოვნებაში
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახების მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა დირექტორის ბრძანებით ამტკიცებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას. გეგმაში დეტალურადაა გაწერილი აქტივობები, რა ევალება და რა დროის განმავლობაში უნდა განახორციელოს ესა თუ ის აქტივობა მშობელმა/მასწავლებელმა/სპეცმასწავლებელმა/სპეც. ასისტენტმა/დირექციამ. დირექტორის ბრძანებით, სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. ეს ჯგუფი აკვირდება ინკლუზიური განათლების მიმართულებით მუშაობის პროცესებს, აკეთებს ჩანაწერებს და სასწავლო წლის დასასრულს წერს დასკვნას ინკლუზიური განათლების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნული ჯგუფის საქმიანობა დასტურდება შესაბამისი საოქმო ჩანაწერებით და შემუშავებული დასკვნა სასწავლო წლის ბოლოს კანონმდებლობის შესაბამისად იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სკოლა ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნებს. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის სკოლას შექმნილი აქვს

ადაპტაციის გეგმა. ამ ეტაპისთვის სკოლას ჰყავს 8 სსსმ მოსწავლეები, 2 სპეციალური მასწავლებელი და 2 ასისტენტი. ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი.

სკოლის მუშაობა სსსმ მოსწავლეებთან ეყრდნობა ესგ-ის მე-8 მუხლს. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები, პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. ისგ ჯგუფების მუშაობა დასტურდება საოქმო ჩანაწერებით. სკოლაში უზრუნველყოფილია რესურს-კლასი შესაბამისი სასწავლო რესურსით. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული ყველა ისგ-ს ოქმში. ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან, სკოლა გეგმავს შეავსოს/განაახლოს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და დამოუკიდებელ დოკუმენტად შეიმუშავოს მექანიზმი ინდ გეგმების უკეთ შედგენასთან დაკავშირებით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით, სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. ისგ. ჯგუფებს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, ხოლო ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელია სპეცმასწავლებელი. ისგ ჯგუფი იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. სსსმ მოსწავლეებს აქვთ კეთილმოწყობილი და რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახი. მასწავლებლების მუშაობას გაკვეთილზე აკვირდებიან სპეცმასწავლებლები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ ზეპირ რეკომენდაციებს. მათ აგრეთვე შემუშავებული აქვთ განრიგი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დღის განმავლობაში. ასისტენტები მუშაობენ მიმაგრებულ სსსმ მოსწავლეებთან აწარმოებენ ჩანაწერებს, დღიურებს თითოეულ ქეისზე და ისგ ჯგუფის სხდომაზე განიხილავენ კოლეგებთან და მშობელთან ერთად. სსსმ მოსწავლეებს გახსნილი აქვთ პორთფოლიოები, სადაც ინახება მათი ნამუშევრები. ყოველი სემესტრის ბოლოს სპეცმასწავლებლები პედსაბჭოს წარუდგენენ მოკლე ანგარიშს სემესტრში გაწეული გუნდური მუშაობის შესახებ. წლის განმავლობაში შეიძლება საჭიროებიდან გამომდინარე მოსწავლის ინდ. გეგმამ განიცადოს ცვლილება მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით. ყოფილა შემთხვევები, როცა სსსმ მოსწავლისთვის მულტიდისციპლინურ გუნდს მშობლის განცხადების საფუძველზე მოუხსნია სტატუსი და განხორციელებულა პროცედურები კანონმდებლობის შესაბამისად.

მშობლებთან კომუნიკაცია ხორციელდება პირისპირ ისგ ჯგუფის სხდომებზე, სატელეფონო საუბრით, ინტერნეტის დახმარებით, ადგილზე ინდივიდუალური კონსულტირებით. სსსმ მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ დამრიგებლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, ექსკურსიებში, ლაშქრობებში და სხვა. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას. სამომავლოდ, სკოლა გეგმავს მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვა საჯარო სკოლებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოფელ კაკაბეთს საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ბრძანება კაკაბეთის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება სსსმ მოსწავლის ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ
- ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ'' 2021 წლის 07 ოქტომბრის N2–78 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ
- ისგ გეგმები
- სამუშაო ჯგუფის ისგ სხდომის ოქმი
- სსსმ მოსწავლის ინდ გეგმა მე–11 კლასი
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- სამუშაო ჯგუფის ისგ სხდომის ოქმი მე–7 კლასი
- სამუშაო ჯგუფის ისგ სხდომის ოქმი მე–11 კლასი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ მოსწავლის ადაპტაციის გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებიდან სკოლის მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. მძღოლს ევალება მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილება სკოლაში მოსვლის და სკოლიდან წასვლის დროს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა - მოსწავლეების ტრანსპორტირება გარკვეული მანძილიდან და ადგილებიდან ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო განყოფილებას სკოლასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სკოლა თავად არ არის არასავალდებულო საგანმანათლებლო სერვისის მიმწოდებელი. ტრანსპორტირების სერვისით სარგებლობენ მოსწავლეები და მასწავლებლები. აღნიშნული მომსახურება ნებაყოფლობითია მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, მათ შორის მოსწავლეთა ტრანსპორტირების დროს სკოლას ევალება მოსწავლეთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებაზე მონიტორინგის წარმოება. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ყავს პასუხისმგებელი პირი. შესაბამისად, სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება ტრანსპორტით მომსახურებაზე N320211.03.126
- ბრძანება სკოლაში მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- ტაბელი;.
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის შევსების დროს, სკოლას დოკუმენტური სახით არ ჰქონდა წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა ამ საკითხზე მუშაობდნენ და ჰქონდათ პროექტი. 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმით, ასევე კათედრის სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ სკოლაში საგნობრივი კურიკულუმები მუშავდება კათედრებზე, კოლეგების აქტიური თანამშრომლობით. წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხდება შუალედური და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება ახალი, მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით კურიკულუმების შემუშავების, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მიმდინარე წლის პრობლემებს და მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესი, რაც დგინდება გამოკითხვით. ასევე, მშობელთა კრების ოქმებით (დანართები №40; №156) იკვეთება დამრიგებლის როლი, მიაწოდოს და გაუზიაროს სიახლე მშობლებს, მათ ეგზავნებათ მშობლის ბარათები და ხდება

მათი აზრის მოსმენა და გათვალისწინება. კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებებს და ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს N 2-127 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. საგნობრივ კათედრებში შემავალი თითოეული საგნის მასწავლებელი სასწავლო წლის დასასრულს აკეთებს განხორციელებული დავალებების და აქტივობების რეფლექსიას, ამზადებს ანგარიშებს მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვაზე დაყრდნობით. სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგებს მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება, გამოყონ პრიორიტეტული თემები და შესაბამისად დაგეგმონ შემდგომი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურუკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. პროცესი მიმდინარეობს დინამიკურად. მუშაობის დროს ითვალისწინებდნენ გასული წლების შედეგებსა და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრების თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები. მოსწავლეთა მეტი ჩართულობისა და ინიციატივისთვის დადგმული არის წინადადებების ყუთი, სადაც მოსწავლეები წარმოაჩენენ თავიანთ მოსაზრებებს და შემდგომ ხდება ამ მოსაზრებების განხილვა და გაზიარება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში კიდევ უფრო მეტად გააძლიერებენ სასკოლო საზოგადოების ჩართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

პედსაბჭოს მიერ დამტკიცებული კურიკულუმების საბოლოო ვერსია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გაზიარება ხორციელდება ძირითადად ონლაინ პლატფორმებზე, როგორიცაა მაგ.: თიმსი, მესენჯერი; სადაც უკუკავშირს ახორციელებს ადმინისტრაციის პასუხისმგებელი პირი. მომავალში გეგმავენ კურიკულუმების და სხვა სასკოლო საზოგადოებისთვის საჭირო

ინფორმაციის გაზიარებისთვის უკვე გამოიყენონ ვებ-გვერდი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, თუ როგორ ხდება მათი მხრიდან მოსწავლის ბარათების გაზიარება მშობლებისთვის, ასევე აღნიშნეს, რომ დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისთანავე აცნობენ მშობლებს მშობელთა კრებაზე კურიკულუმებს და კურიკულუმის გაცნობას მშობელი ადასტურებს ხელმოწერით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
2. *დანართი:12, 13, 14, 15, 144;*
3. *მასწავლებლებთა ანგარიშები*
4. *კურიკულუმები.*

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით - მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების შესაბამისად, რაც ეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. ზოგიერთ საგანში, (მაგ. „კომპიუტერული ტექნოლოგიები“) თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება, ზოგან კი არა („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“). კურიკულუმები მოიცავს თემების მიხედვით შექმნილ კომპლექსურ დავალებებს. მათემატიკის მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში დაფარულია მხოლოდ ორ-ორი თემა შესაბამისი ქვესაკითხებით, დანარჩენი თემების შეტანას გეგმავენ სექტემბრამდე. დასახვეწი და შესავსებია ასევე პირველი და მეორე კლასის კურიკულუმები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი

კურიკულუმები („მე და საზოგადოება და „ჩვენი საქართველო“) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ, როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსური დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენის საქართველოს“ კურიკულუმებში ძირითად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე და როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დავალებები, მოსწავლეებს უშუალოდ ეხმარება შემოქმედებითი, თანამშრომლობითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები),** რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, არის პროცესზე ორიენტირებული გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. დავალებების შესრულება მოსწავლეებს ეხმარება შესწავლილი თემით ტრანსფერი გააკეთონ პრაქტიკულ საქმიანობაში. მასწავლებლები გვიდასტურებენ, რომ მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები საინტერესოა შემოქმედებითობის თვალსაზრისით. საგნობრივ კურიკულუმებში, ცალკეულ შემთხვევებში, არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, თუმცა, წარმოდგენილია სტანდარტით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა. მესამე კლასის საგანში „მე და საზოგადოება“, სავალდებულო თემებში, რომლებიც წარმოდგენილია კურიკულუმში, არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნებები. მაგ: მეორე თემაში - „სკოლა, მეგობრები, თანატოლები“- არ მუშავდება: პიროვნება, ინსტიტუცია, ცვლილება; მე-3 სავალდებულო თემაში - „გარემო, რომელშიც ვცხოვრობ“, არ მუშავდება: პიროვნება, საზოგადოება, ცვლილება. მეოთხე კლასში იმავე საგანში, წარმოდგენილია სამივე სავალდებულო თემა; თუმცა, პირველ თემაში - არ მუშავდება სამიზნე ცნებები: პიროვნება, ცვლილება. მე-2 თემაში არ მუშავდება: პიროვნება, საზოგადოება, ცვლილება; რაც შეეხება საგანს „ჩვენი საქართველო“, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმში არ არის მითითებული სკოლის დასახელება. მეხუთე კლასში არეულია სავალდებულო თემების ჩამონათვალი მეექვსე კლასთან. არ არის შეტანილი სავალდებულო თემები სრულად, მაგ: სავალდებულო თემა „აჭარა“, არ არის წარმოდგენილი. მეექვსე კლასის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი/დამუშავებული სავალდებულო თემები: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და აფხაზეთი. ყველა სამიზნე ცნება მუშავდება მხოლოდ შემდეგი სავალდებულო თემების ფარგლებში: კახეთი, გურია, თბილისი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით; აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის; იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა. მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და

მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო ონლაინ-პლატფორმებს, საიდანაც ამზადებენ მრავალფეროვან რესურსებს და მოსწავლეებს შეთავაზებული რესურსებიდან საკლასო დავალების შესრულების დროს აძლევენ არჩევანის გაკეთების საშუალებას. სკოლა ჩართულია ,,USAID"- საბაზისო საგანმანათლებლო პროგრამაში, დაწყებითი კლასების მიმართულებით (ქართული, მათემატიკა), რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას სხვებთან ერთად სწავლების დიფერენცირებული მიდგომების მიმართულებითაც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღწერილია, რომ პედაგოგები ახდენენ მოსწავლეთა დიაგნოსტირებას და შედეგებიდან გამომდინარე გეგმავენ შესაბამის აქტივობებს. ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში დანართის სახით შეტანილი აქვს ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებენ პედაგოგები სასწავლო პროცესში, რაზეც ინტერვიუს დროს ისაუბრეს. თვითშეფასების ფორმაში სკოლას მითითებული აქვს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან განმსაზღვრელ შეფასებაში გამოიყენებენ მეორე მოდელს, პროცესში გამოიყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ბოლოს კი შემაჯამებელ სამუშაოს ჩაატარებენ და მას წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით განმსაზღვრელი შეფასებით შეაფასებენ. შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ზოგადი სახისაა და საჭიროებს დახვეწასა და განვითარებას. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, მიმდინარე სასწავლო წელს აქტიურად იყენებდნენ ,,სოლო" ტაქსონომიის დონეების აღწერის მიხედვით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელს აქვს პრაქტიკა, კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ „ეროვნული სასწავლო გეგმის" შედეგების მიღწევის ტაქსონომიის გამოყენებით შეაფასოს მოსწავლეები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას, ხდება ინფორმაციის შეგროვება და ზეპირსიტყვიერი ანალიზი. საგაკვეთილო პროცესი იგეგმება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. გასული სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდა კურიკულუმის გადახედვა და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტის შემუშავება/განხორციელება, რომელიც ერთის მხრივ დაეხმარება მოსწავლეებს მიიღონ კონსტრუქციული მითითებები იმის თაობაზე, თუ როგორ გააუმჯობესონ შედეგები, ხოლო მეორეს მხრივ მასწავლებლებს უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
3. შეფასების რუბრიკები
4. შემაჯამებელი დავალებების ანალიზები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ძირითადად გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების პროცესში გამოყენებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესში მიმართავენ სახალისო აქტივობებს, რაც ემსახურება არა მხოლოდ მათ აქტიურ ჩართულობას, არამედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას. მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის სწავლას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში) ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეის დონეზე. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, სადაც მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული პროცესში. წინარე წლის გამოცდილება აჩვენებს, რომ მოსწავლეები თავად აქტიურად ერთვებიან შემოქმედებით პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები და აღწერეს თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობით ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. პედაგოგები ასევე აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რესურსებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზებაში.

„მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველოს“ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები და გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებასა და პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. თვითშეფასების ფორმაში აღწერილია კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ მოახდინა მასწავლებელმა მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება ახალი მასალის ასათვისებლად. აღნიშნული მაგალითის განხილვა გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე,**

კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს, რომლის განხორციელების დროსაც მოსწავლეები არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტს შექმნიან, არამედ დააკვირდებიან საკუთარი სწავლის პროცესსაც, მოსწავლეები ნამუშევრების წარდგენის დროს აანალიზებენ, რა გამოუვიდათ კარგად, შემოქმედებითად და რას გააუმჯობესებენ მომავალში. პროცესის დასრულების შემდეგ ისინი ავსებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარებს (მაგ. საგანი „კომპიუტერული ტექნოლოგიები“), პრეზენტაციის დროს მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს (მაგ., საგანი მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება). ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს აღმოაჩინონ რა მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებენ ახალი მასალის ასათვისებლად და მისცენ სწორი რეკომენდაციები, რაც მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში დაეხმარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედური სასწავლო მიზნით, ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. ასევე აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას და სწორედ ამ პრინციპით მოხდება მათ მიერ დავალებების შერჩევა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას იღებენ, არამედ მიღებულ ცოდნას იყენებენ პრაქტიკაში და ქმნიან საბოლოო პროდუქტს, რაც ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 და სხვა დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ სკოლის პედაგოგები მრავალფეროვან ხერხებს მიმართავენ მოსწავლეებში შესწავლის, დამახსოვრებისა და სხვა უნარების განვითარებისათვის. იცნობენ რა, სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სკაფოლდინგის მეთოდით აშენებენ ახალ ცოდნას. მოსწავლემ იცის, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია და შესასწავლი საგნის არსს ხედავს მოცემული კომპლექსური დავალებების შესრულებისა და წარდგენის პროცესში. მოსწავლეს შეუძლია პარალელის გავლება სხვა საგნებთან, რასაც ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილები. პედაგოგები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, რაც გამოიხატება ვერბალურ

და წერით დავალებებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ აქვთ მზაობა კომპლექსური დავალების დანერგვისა და განხორციელების პროცესში ხელი შეუწყონ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმები;
2. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
3. მასწავლებლებთან ინტერვიუ;
4. შეფასების რუბრიკები;
5. კათედრის ოქმები;
6. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და ქვეცნება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით, სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი უზრუნველყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეა არის განსაზღვრული კარგად ჩანს როგორ მუშავდება სამიზნე ცნება კონკრეტულ საკითხზე დაყრდნობით. მაგ: მე-5 და მე-6 კლასი ,,ჩვენი საქართველოს'' საგნის კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, თუმცა, სავალდებულო თემების ჩამონათვალში გამორჩენილია რამდენიმე თემა, რაც მომდევნო სასწავლო წლისთვის აუცილებელია რომ შეივსოს. ბუნებისმეტყველებაში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოლოდინები განსაზღვრულია თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. ესთეტიკური კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სარგებლობენ ქოუჩის მიერ მიწოდებული დაწყებითი საფეხურის მეთოდური გზამკვლევით და დაამუშავებენ კონკრეტულ ქვეცნებებზე მორგებულ მკვიდრ წარმოდგენებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

პედაგოგებთან ინტერვიუმ და კურიკულუმების განხილვამ ცხადყო, რომ სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ

მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროექტი. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება. კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართულია ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების რუბრიკა არის ზოგადი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაგვიდასტურეს, რომ ხშირად ხდება შეფასება ზეპირსიტყვიერი კომენტარით. აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლი წლისთვის თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომელსაც გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე, სკოლაში იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი მექანიზმის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. სკოლა ყურადღებას ამახვილებს განმავითარებელი შეფასებით მშობელთა ინფორმირებულობაზე. კათედრებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა და ჩანს მზაობა, შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენების, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. სკოლამ სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმების შემდეგ გადაწყვიტა დარჩეს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლის თვითშეფასების ფორმის დოკუმენტიდან, სასკოლო სასწავლო გეგმის დანართიდან ირკვევა და პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, რომ იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში) შეფასებას, სოლო ტაქსონომიას. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს, რომლის კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც უზრუნველყოფს რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ასეთ პრიორიტეტად ერთის მხრივ დასახელდა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა; ინფორმირებულობის გაზრდა, როგორც მოსწავლეებში, ასევე მათ მშობლებში, რაც მოსწავლეებს დაეხმარება სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლის პროცესი, გაუზრდის მათ შეფასების მიმართ ნდობას. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს სასწავლო წლის დასაწყისში შეფასების რუბრიკების ნიმუშები ყველა საგნისათვის განათავსოს თვალსაჩინოდ ელექტრონულ სივრცეში, რომელსაც მუდმივად მიადევნებენ თვალს თემის შესწავლის პროცესში. კათედრები აცხადებენ, რომ შეფასების რუბრიკები მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და დასაძლევად შესაბამისია ასაკობრივ კატეგორიასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

<u>სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი ცალკე დოკუმენტი.</u> შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ვიზიტის დროს სკოლამ აღნიშნა, რომ ვერიფიკაცია გარკვეულწილად ხორციელდება მასწავლებლების

ურთიერთდაკვირვებით, სკოლის ადმინისტრაციის დაკვირვებით, კათედრაზე შეფასების ინსტრუმენტების განხილვით და ანალიზით, რითაც ხდება შესაბამისობის დადგენა. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება, ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ, მომავალში, მოსწავლეთა შესაფასებლად იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გააანალიზებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებსაც. მასწავლებლები გაკვეთილზე გამოსაყენებლად წინასწარ უსადაგებენ შესაფასებელ ცვლადებს და აცნობენ მოსწავლეებს. გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ ხდება შეფასების სქემების კრიტერიუმების შესაბამისობაზე მსჯელობა და გაანალიზება. საჭიროების შემთხვევაში შეფასების რუბრიკები განიცდის მოდიფიცირებას და შემდგომ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებას. <u>სკოლას აქვს გარკვეული მონახაზი ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის შემუშავებისთვის, მაგალითად გეგმავენ, რომ სკოლაში შექმნან ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს.</u>

<u>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

სკოლს მიეცა რჩევა უზრუნველეყო შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შედგენა და ამოქმედება, რის საფუძველზეც სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 05/10/2023 წ.-ის ბრძანება № 2-164 სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესხებ და სსიპ საგარჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრულია ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კანონმდებლობის შესაბამისად იწარმოება მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლა სრულყოფილად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემის/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
3. შეფასების რუბრიკები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

კათედრებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური, მხარდამჭერი და მიმღებლობითი სასწავლო გარემო; მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან. ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და საკითხის ერთობლივად გადაწყვეტა. იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და ინტერესებს, რითაც ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სკოლა გეგმავს სპორტულ აქტივობებს სასკოლო და რეგიონულ დონეზე, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ხელს უწყობს არაფორმალური განათლება, კლუბები და პროექტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. გამოყენებულია მულტიმოდალური მიდგომები. მათი მთავარი მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში და მოტივაციის ამაღლება. სასწავლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწავლეზე ორიენტირებულია და მორგებულია მის ინტერესს და საჭიროებას. სკოლაში იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან და თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, ერთად გეგმავენ და ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, პროექტებს. იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები. სკოლა ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ღიაობას და მზაობას თანამშრომლობითი კულტურის განვითარების და გაფართოების (სხვა სკოლებთან) შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, საგნობრივი კურიკულუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ამას ასევე ადასტურებს ის, რომ მასწავლებლები აღნიშნავენ, თუ როგორ უჭერდნენ მხარს მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს, საჭიროებისამებრ ეხმარებოდნენ მის მოდიფიცირებაში და ა.შ. თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ სკოლისა და კლასის დონეზე პოზიტიური კლიმატის შექმნა არსებული კურიკულუმის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ხორციელდება ისეთი საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც სასწავლო გარემოს ჰარმონიული განვითარებისკენ არის მიმართული. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ხშირად აწყობენ გამოფენებს: კომპლექსური დავალებების, შემოდგომის თემაზე შექმნილი აპლიკაციები, საახალწლო ნაძვის ხეების, დედამიწის დღესთან დაკავშირებული ნახატების გამოფენა და ა.შ. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში ეს მიმართულება დარჩება პრიორიტეტულად და განხორციელდება თანამშრომლობითი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და სოციალური პროექტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. კათედრის შეხვედრის ოქმები;
3. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
4. წლიური სამოქმედო გეგმა;
5 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ესგ-ის სტანდარტის შესაბამისად. მონიტორინგი კურიკულუმის შეფასებაზე მიმდინარეობს გაკვეთილებზე დაკვირვებით და კათედრის წევრების ურთიერთდასწრებით. ამ ეტაპზე, იზომება როგორც მოსწავლეთა მიღწევები, ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი (კოლეგათა ურთიერთდასწრებით). ორივე შემთხვევაში მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. დაკვირვება მიმდინარეობს რეგულარულად დირექციისა და კათედრის წევრების მიერ. მონიტორინგი დირექციის მხრიდან ხორციელდება სასკოლო პროექტების განხორციელებაზე და ხარისხზე პერიოდულად. ახალი ესგ-ის დანერგვის პროცესებში გაკვეთილზე დაკვირვებას ასევე აწარმოებდნენ მხარდამჭერი ექსპერტები და გასცემდნენ უკუკავშირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლაში არსებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რასაც ადასტურებს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლის ანალიზი. სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და

არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა. პროფესიული განვითარების მიზნით გადიან შესაბამის ტრენინგ-მოდულებს. სკოლას არჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ტესტის ინსტრუმენტი, რომლის მიხედვით მოხდება მოსწავლის მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლა სამომავლოდ გეგმავს გამოკითხვა ჩაატაროს,,Forms”-ის პლატფორმის საშუალებით, სადაც მონაწილეობას მიიღებს სასკოლო საზოგადოებაში ჩართული ყველა რგოლი. სამომავლოდ უმჯობესი იქნება, სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლა სამომავლოდ გეგმავს (ონლაინ-პლატფორმებით, ინტერვიუებით, გამოკითხვებით და ა.შ.) ინფორმაციული წყაროების გამრავალფეროვნებას. სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად დამრიგებლების საშუალებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც უადვილებს მოსწავლეს დაინახოს და თავადაც შეაფასოს სწავლის პროცესში საკუთარი პროგრესი, ასევე დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. მომდევნო სასწავლო წლისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც უფრო ნათლად დაანახებს მოსწავლის შედეგსა და პროგრესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. მიმდინარე კურიკულუმი მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე დაკვირვებასა და შეფასებას. ამისათვის გასათვალისწინებელია მრავალი კონტექსტი - როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეფასება; მაგალითად, პროექტებში, ოლიმპიადებში, სპორტულ აქტივობებში. ახალ კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან.

მომდევნო სასწავლო წლიდან - პედსაბჭოს მიერ შესწავლილ და დამტკიცებულ განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს აირჩევს, რომელიც მათთვის სიახლეა და მასზე დაყრდნობით შეიტანენ ცვლილებებს, შექმნიან ახალ, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, დაკვირვების ფორმებს. ასევე გეგმავენ, ფართოდ გაშალონ დიაგნოსტიკური შეფასების მოდელი ,საკლასო წერა“ და წელიწადში ორჯერ განახორციელონ. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე შემდგომ ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ აქვთ სამუშაო და ბევრი რამ გასაუმჯობესებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოქმედ სასკოლო კურიკულუმში არსებობს შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა შეგროვების გარკვეული გამოცდილება. შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. თვისებრივი მეთოდებიდან იყენებენ დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფებსა და ინტერვიუს. რაოდენობრივიდან - გამოკითხვას. სკოლაში პროექტების განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოება იყენებს ძირითადად გამოკითხვას სპეციალური შედგენილი კითხვარებით, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. სკოლა გამოთქვამს მზაობას, შემუშავდეს და სასწავლო გეგმაში აისახოს ინფორმაციის მოგროვების პროცესში სხვადასხვა მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

მომდევნო სასწავლო წლიდან გეგმავენ მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვები ჩატარდეს უფრო დეტალურად, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით (მაგ. ელექტრონულად შექმნილი კითხვარების საშუალებით წარმოდგენილი ონლაინ-ფორმატებით), რაც საშუალებას მისცემთ სასკოლო საზოგადოების უფრო მეტი წევრის შეფასება მოისმინონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს. დაწყებითი საფეხურის კათედრა მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეფასებას ახორციელებს კომპლექსურად, გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა წარიმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორებიცაა: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
2. შეფასების რუბრიკები;
3. მასწავლებელთა ანგარიშები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასკოლო სასწავლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მასწავლებლების თვითრეფლექსია, სკოლაში იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, სადაც მოიაზრება მიღწევების თვითშეფასება, SWOT ანალიზი, გადამუშავებული კურიკულუმი, წლიური სამოქმედო გეგმები, რომლებიც ერთობლიობაში განსაზღვრავსკურიკულუმის ეფექტიანობის შეფასებას და მის გადახალისება - გაუმჯობესებას მომავალი სასწავლო წლისთვის.

კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კურიკულუმის შექმნის პროცესი, რომელიც დაიხვეწება დანერგვა დაიწყება 2023-2024 სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრის წევრებს შორის განიხილება საგნობრივი კურიკულუმები და მოხდება მათი გადამუშავება, შედგება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა სადაც გათვალისწინებული იქნება გადასინჯვის შედეგად მიღებული მიგნებები. აღნიშნული მოემსახურება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების დაგეგმვასა და განხორციელებას. ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგები დანერგავენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების კვლევის მექანიზმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
2. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
3. *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის კურიკულუმები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის შევსების დროს, სკოლას დოკუმენტური სახით არ ჰქონდა წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა ჰქონდათ პროექტი. 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმით, ასევე კათედრის სხდომის ოქმებიდან (მაგ. დანართი 13) ჩანს, რომ სკოლაში საგნობრივი კურიკულუმები მუშავდება კათედრებზე, კოლეგების აქტიური თანამშრომლობით. წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება შუალედური და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება ახალი, მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით კურიკულუმების შემუშავების, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მიმდინარე წლის პრობლემებს და მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესი, რაც დგინდება გამოკითხვით. ასევე, მშობელთა კრების ოქმებით (დანართები

№40; №156) იკვეთება დამრიგებლის როლი, მიაწოდოს და გაუზიაროს სიახლე მშობლებს, მათ ეგზავნებათ მშობლის ბარათები და ხდება მათი აზრის მოსმენა და გათვალისწინება. კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებებს და ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს N 2-127 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სასკოლო საზოგადოების ინტერესები მეტწილად გათვალისწინებულია კურიკულუმში. მასში ასახულია ყველა რგოლის ინტერესები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესაძლებლობები და გამოყოფილია პრიორიტეტული თემები. სკოლაში არის კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობის მაღალი გამოცდილება. ხორციელდება კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგებს მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება და მომდევნო აქტივობების დაგეგმვა. კურიკულუმის შედგენისას საბაზო საფეხურის მასწავლებლები ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. სკოლა ორიენტირებულია მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდაზე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებობს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გამოკვლევის კულტურა, საკლასო სივრცეში წამოჭრილი პრობლემების გათვალისწინებით იგეგმება სადამრიგებლო საათები, განიხილება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბულინგი, გარემოს დაცვა. შემდეგ ამის საფუძველზე გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ-მაგალითები. იკვეთება, რომ სკოლას აქვს სწორი ხედვა და გამოცდილება განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდნენ გასული წლების შედეგებსა და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრების თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები. კომპლექსური დავალების ადაპტირების პროცესში და სსსმ მოსწავლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში ჩართულია სპეციალური მასწავლებელიც. სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მასწავლებლები მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების

დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობის და პროექტების განხორციელების პროცესში. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის უფრო მეტად გააძლიერებენ სასკოლო საზოგადოების ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც სოციალური ქსელით და საზიარო ღრუბლოვანი სივრცით ახორციელებენ. ამასთანავე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ეწყობა ფესტივალები, იმართება კონფერენციები, ტარდება მშობელთა კრებები. გარდა ამისა, შექმნილი აქვთ ფეისბუქ-ჯგუფი, სადაც აქტიურად იდება ყველა საჭირო მასალა, ხდება მასწავლებელთა ინფორმირება, რაც ხელს უწყობს მასწავლებლებს შორის ინფორმაციის გაზიარებასა და თანამშრომლობას. კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას ემსახურება ასევე მშობლის ბარათები. სკოლაში არსებობს „წინადადებების ყუთი“, სადაც სასკოლო საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრებები. ესთეტიკური კათედრის პედაგოგებმა, ინტერვიურების პროცესში აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის გაზიარების მიზნით, საბაზო საფეხურზე მოაწყობენ ღია გაკვეთილებს და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობების დამუშავების პროცესის დაკვირვების საშუალებას მისცემენ მშობლებსა და დირექციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
2. მასწავლებლებთან ინტერვიუ;
3. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5 დამრიგებლის ანგარიშები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

კურიკულუმები შედგენილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საბაზო საფეხურზე მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის სავალდებულო თემებში არსებული საკითხები, თავისი რესურსებით, რომელიც უნდა დამუშავდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების დროს. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების მთლიანობაში წარმოჩენას, რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მიცემული იქნა გარკვეული რჩევებიც რომლებიც გაიზიარა კათედრამ, მაგ: მუსიკის საბაზო საფეხურის VII; VIII და IX კლასის კურიკულუმებში ჩასამატებელია ერთეული თემები, შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. საგნობრივ კურიკულუმებში ცალკეულ შემთხვევებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ასევე არ არის წარმოდგენილი სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა, თუმცა როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს აქტიურად მუშაობენ ამ საკითხზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობებს გეგმავენ მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესები. მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის მათი შესაძლებლობების შესაბამისად ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების პროცესი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სასკოლო სასწავლო გეგმის დანართში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, გამოცდილების გაზიარებას, რასაც გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათ კარგად აქვთ გათავისებული შეფასების მნიშვნელობა და რომ შეფასება გარდა იმისა, რომ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ახდენს მათი მიღწევების განსაზღვრას, ასევე, უზრუნველყოფს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს განმსაზზღვრელი შეფასების მეორე მოდელზე გადასვლას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ პედაგოგები სწავლა/სწავლების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე პრაქტიკულ გამოცდილებას, კერძოდ, აანალიზებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და მის საფუძველზე ქმნიან

განახლებულ კურიკულუმებს. გასული სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდა კურიკულუმის გადახედვა და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც დასტურდება შევსებული თვითშეფასების ფორმით და პედაგოგებთან ინტერვიუებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
2. პედაგოგებთან ინტერვიუ;
3. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რისთვისაც მასწავლებლები მიმართავენ სხვადასხვა აქტივობას და იყენებენ მრავალგვარ რესურსს, როგორც ელექტრონულს (ლინკები, პლატფორმები, პრეზენტაციები და სხვა...), ისე მატერიალურს (ტესტები, ნახატები, ბარათები, სახელმძღვანელო და სხვა...). საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რაც ზრდის ჩართულობას, უმაღლებს შინაგან მოტივაციას და ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. ამავე მიზნით, მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ და გეგმავენ საგნობრივ საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებს, მაგალითად სკოლას წარმოდგენილი აქვს რამდენიმე პროექტი „სუფთა წყალი“, ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი".

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

მასწავლებლებს გათავისებული აქვთ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპები. შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობები ისეა მოცემული, რომ ეფუძნება წინარე გამოცდილებას. მათივე თქმით, მოცემული დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლეებს გავახსენოთ შესწავლილი მასალა და ახალი ცოდნა ძიებით, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მივაღებინოთ. პედაგოგები ასევე აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რესურსებს, რაც დაეხმარება მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზებაში. დავალებების შესრულებისას ხშირად აძლევენ მოსწავლეებს არჩევანის საშუალებას, კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, მოსწავლეებისთვის შემოთავაზებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

მასწავლებლებს განსაზღვრული აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელების დროსაც მოსწავლეები არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტს შექმნიან, არამედ დააკვირდებიან საკუთარი სწავლის პროცესსაც. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ხშირად იყენებენ თვითშეფასების ბარათებს, რეფლექსიური ტიპის შეკითხვები, ეხმარებიან მოსწავლეებს აღმოაჩინონ რა მეთოდებს, სტრატეგიებს იყენებენ ახალი მასალის ასათვისებლად, და მისცენ სწორი რეკომენდაციები, რაც მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში დაეხმარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული),** რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე და მათი განხორციელების ეტაპებზე დაყრდნობით, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რადგან მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებასაც უწყობს ხელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება,** რასაც ადასტურებს კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები, კლუბური მუშაობის დროს განხორციელებული აქტივობები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას; მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;

1. კურიკულუმები;
2. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
3. მასწავლებლებთა ანგარიშები
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. კათედრის ოქმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ქვეცნება. მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექანიზმს შორის. ამასთანავე, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოლოდინები განსაზღვრულია თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ კურიკულუმების გადახედვას და დახვეწას. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას** და გამოკვეთს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. საბაზო საფეხურზე მოცემული სავალდებულო თემები, თემებში ჩაშლილი საკითხები და კონტექსტ მაგალითები ითვალისწინებს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროექტი. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების რუბრიკა არის ზოგადი, სასწავლო პროცესში გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მიზანს ემსახურება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლი წლისთვის თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომელსაც გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე, იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი მექანიზმის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. თვითშეფასების ფორმის მიხედვით 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა ირჩევს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს. შესაბამისად, შეფასების პროცესში მეტი აქცენტი გაკეთდება განმავითარებელ შეფასებაზე, განმსაზღვრელ შეფასებას კი მხოლოდ შემაჯამებელი დავალებების შესაფასებლად გამოიყენებენ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასებას ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. თუმცა, მომავალი სასწავლო წლისთვის, შუალედური სასწავლო მიზნების დანერგვასთან დაკავშირებით, გეგმავენ კონკრეტული შეფასების რუბრიკების შექმნას, რომელიც ზუსტად გაზომავს თითოეული მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ინტერვიუების დროს ასევე აღინიშნა, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. პრიორიტეტა დასახელდა გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გაზრდის მიზნით, მოსწავლეების ჩართვა შეფასების რუბრიკების შექმნაში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

<u>სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი ცალკე დოკუმენტი.</u> შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ვიზიტის დროს სკოლამ აღნიშნა, რომ ვერიფიკაცია გარკვეულწილად ხორციელდება მასწავლებლების ურთიერთდაკვირვებით, სკოლის ადმინისტრაციის დაკვირვებით, კათედრაზე შეფასების ინსტრუმენტების განხილვით და ანალიზით, რითაც ხდება შესაბამისობის დადგენა. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება, ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ, მომავალში, მოსწავლეთა შესაფასებლად იგეგმება ჩატარდეს დიაგნოსტიკური ტესტირება სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაანალიზებენ შეფასების სხვადასხვა

ინსტრუმენტებსაც. მასწავლებლები გაკვეთილზე გამოსაყენებლად წინასწარ უსადაგებენ შესაფასებელ ცვლადებს და აცნობენ მოსწავლეებს. გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ ხდება შეფასების სქემების კრიტერიუმების შესაბამისობაზე მსჯელობა და გაანალიზება. საჭიროების შემთხვევაში შეფასების რუბრიკები მოდიფიცირდება და შემდგომ საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება. სკოლას აქვს გარკვეული მონახაზი ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის შემუშავებისთვის, მაგალითად გეგმავენ სკოლაში შექმნან ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სკოლს მიეცა რჩევა უზრუნველეყო შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შედგენა და ამოქმედება, რის საფუძველზეც სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 05/10/2023 წ.-ის ბრძანება № 2-164 სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესხებ და სსიპ საგარჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შესაბამისად, უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლა დაინტერესებულია დაიცვას მოსწავლეთა და ზოგადად, სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემები, მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალში, მატერიალური სახით კი პირად საქმეებში. კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები და ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეთა ნამუშევრებს და შესრულებულ შემაჯამებელ სამუშაოებს სკოლა მატერიალურად ინახავს არანაკლებ სამი წლის განმავლობაში (მასწავლებლებს და ადმინისტრაციას პრეზენტაციების სახითაც აქვთ შენახული ელექტრონულად). მატერიალური ჟურნალები ინახება სკოლის არქივში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი, მიმღებლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან; მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და საკითხის ერთობლივად გადაწყვეტა. იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და ინტერესებს. თითოეულ მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი, დასვას შეკითხვა და მასწავლებლისგან მიიღოს დროული პასუხი. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შემლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას. სკოლა გეგმავს სპორტულ აქტივობებს სასკოლო და რეგიონულ დონეზე, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. სსსმ მოსწავლისათვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შეფასების რუბრიკით. იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას,** რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრების თანამშრომლობა და განხორციელებულ პროექტებში მასწავლებელთა, მშობელთა და დირექციის ჩართულობის ხარისხი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (სსგ, კათედრის ოქმი, შეფასების რუბრიკები), რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების, კათედრათაშორისი თანამშრომლობის კულტურა, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები, ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები. კარგი თანამშრომლობითი კულტურის მაჩვენებელი იყო ასევე ინტერვიუს დროს ერთმანეთის მხარდამჭერი გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.** წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, რაც ხაზს უსვამს სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის არსებობას. პოზიტიური კლიმატის შექმნა არსებული კურიკულუმის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ხორციელდება ისეთი საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც სასწავლო გარემოს ჰარმონიული განვითარებისკენ არის მიმართული. პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებლები აწყობენ კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი პროდუქტების გამოფენას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში ეს მიმართულება დარჩება პრიორიტეტულად და განხორციელდება თანამშრომლობითი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და სოციალური პროექტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2. კათედრის შეხვედრის ოქმები;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლას აქვს სწავლის პროცესის ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონიტორინგი კურიკულუმის შეფასებაზე მიმდინარეობს გაკვეთილებზე დაკვირვებით და კათედრის წევრების ურთიერთდასწრებით, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. დაკვირვება მიმდინარეობს რეგულარულად დირექციისა და კათედრის წევრების მიერ. მონიტორინგი დირექციის მხრიდან ხორციელდება სასკოლო პროექტების წარმართვაზე და ხარისხზე პერიოდულად. ახალი ესგ-ის დანერგვის პროცესებში გაკვეთილზე დაკვირვებას ასევე აწარმოებდნენ მხარდამჭერი ექსპერტები და გასცემდნენ უკუკავშირებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში არსებული **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**, რასაც ადასტურებს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლის ანალიზი. სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების წარმოსაჩენად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა. პროფესიული განვითარების მიზნით გადიან შესაბამის ტრენინგ- მოდულებს. სკოლას არჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ტესტის ინსტრუმენტი, რომლის მიხედვით მოხდება მოსწავლის მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

მონიტორინგის და შეფასების პროცესის მთავარი მიზანია გამოავლინოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები; განსაზღვროს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის; დასახოს სწავლების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები, რაც ასახული იქნება ცვლილებების სახით. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუებისას იკვეთება, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს. სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. კათედრის სხდომის ოქმები;
4. შეფასების ინსტრუმენტები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რომელთა საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და იძლევა დიფერენცირების საშუალებას. პედაგოგები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ

საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მისაცემად, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის** გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე, შემდგომ ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ აქვთ სამუშაო და ბევრი რამ გასაუმჯობესებელი. კათედრები გეგმავენ გაზარდონ კომპლექსური დავალებების რაოდენობა თითოეულ კლასში. განახორციელებენ სწავლებას სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური პრეზენტაცია და შესაბამისად, მოსწავლეზე დაკვირვება. შეფასება კი მოხდება წინასწარ შექმნილი მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, კომენტარი, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები და სხვა, რომელთა მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ მეთოდების დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

შეფასებას ახორციელებენ სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით კომპლექსურად. მომდევნო სასწავლო წლიდან მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვები წარიმართება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას უფრო მეტი სასკოლო საზოგადოების წევრის შეფასება ჰქონდეთ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ უნარებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურობას კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში და სასკოლო კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებაზე იმუშავებენ. გაითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები და სასკოლო მზაობა და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

2. შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**
სკოლას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით, როგორც ჩანს მცირე გამოცდილება აქვს. თვითშეფასების ფორმაში ასახულია, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ურთიერთმხარდაჭერა სიტყვიერ

რეკომენდაციებსა და გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას ეფუძნებოდა. ახალ კურიკულუმში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა გადამუშავებული პაკეტის დანერგვა. ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს აღნიშნული მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილწბულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.** მიმდინარე კურიკულუმი ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შექმნილია მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისას გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. ახალ კურიკულუმში მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიების დანერვის შემდეგ გაიზრდება წინარე გამოცდილების გაზიარების ხარისხი. სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს აღნიშნული მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილწბულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

3. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

საშუალო საფეხურზე <u>კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის წარმოდგენილი დოკუმენტური სახით, თუმცა, ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე მუშობენ და აქვთ პროექტი,</u> კათედრის წევრები მუდმივად თანამშრომლობენ, გამოცდილებებს და პრობლემებს აანალიზებენ. ძირითად რეკომენდაციებს შეიმუშავებენ საგნობრივი პროგრამების მიხედვით. შემდეგ გამოვლენილ საჭიროებებს ალაგებენ და უზიარებენ დირექციას. მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მიმდინარე წლის პრობლემებს და მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. ამ ეტაპზე წარმოდგენილია პედსაბჭოს და კათედრების სხდომის ოქმები, რაც ასახავს კოლეგების თანამშრომლობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში, თვითშეფასების ფორმაში ჩანს, რომ მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულები კურიკულუმების შემუშავების პროცესში; მათ ეგზავნებათ მშობლის ბარათები და ხდება მათი აზრის მოსმენა და გათვალისწინება. გარდა ამისა, კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებებს და ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. საშუალო საფეხურზე, კერძოდ მე-10, მე-11 კლასებში ესთეტიკის საგნების, მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს პროექტული სწავლებით. კათედრამ წარმოადგინა ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო სადაც მოცემულია ხელოვნებაში განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლის

დირექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს (ვიზიტის დღეს) N 2-127 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია კურიკულუმში. მასში ასახულია ყველა რგოლის ინტერესები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესაძლებლობები და გამოყოფილია პრიორიტეტული თემები. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას, მორგებულია მათ ინტერესებს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური კუთხით. სკოლაში არის კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობის მაღალი გამოცდილება. კურიკულუმების შემუშავების პროცესში თითოეული პედაგოგის და ასევე მშობლის ინტერესების გათვალისწინება ხდება. სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგებს მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება და მომდევნო აქტივობების დაგეგმვა. შესაბამისად, კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები გათვალისწინებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ,** რომლის შემუშავებაში თითოეულ რგოლს (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, დირექცია, თვითმმართველობა) თავისი წვლილი შეაქვს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა თუ რა სირთულეებს წააწყდნენ გასულ სასწავლო წელს, რა გამოცდილება მიიღეს, რა მიმართულებებია გასაუმჯობესებელი, რათა მიიღონ სასურველი შედეგი. მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით ატარებენ გამოკითხვას, ხდება მათი მოსაზრებების შეჯერება და შესაბამისად, გათვალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**.

ამ მიზნით სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, საზიარო ღრუბლოვან სივრცეს, მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც უზიარებენ მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ. ხდება მათი მხრიდან მოსწავლის ბარათების გაზიარება მშობლებისთვის სხვადასხვა პლატფორმის დახმარებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

2. მასწავლებლებთა ამგარიშები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასკოლო სასწავლო გეგმა;

4. საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საშუალო საფეხურზე კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ დაიფაროს ესგ-ით გათვალისწინებული ყველა თემა, შეირჩეს კომპლექსური დავალება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების მთლიანობაში წარმოჩენას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთესკომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**
კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. მაგ. მეათე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში წარმოდგენილია ორივე სავალდებულო თემა, რომელშიც სამივე სამიზნე ცნება მუშავდება - 1. „მოსახლეობა და მეურნეობა“, 2. „მდგრადი განვითარება“ და 3. „გეოგრაფიული გარსი“. ასევე ჩანს კომპლექსური დავალების იდეა, თუმცა, კონტექსტ მაგალითი ზოგადია და როგორ დამუშავდება ქვეცნებები და ქვესაკითხები ბუნდოვანია. თუმცა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება კურიკულუმების კიდევ ერთხელ გადახედვა, დახვეწა და შევსება ყველა თემით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.** ჩანს, რომ სკოლას ამ დროისთვის მეტ-ნაკლებად მოქნილი მექანიზმი აქვს სწავლების დიფერენცირებასთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სსსმ პირთათვის წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით როგორც შინაარსის, ისე პროცესის დიფერენცირება; ასევე, წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების პროცესი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;** სკოლის მიერ წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, თუმცა პროცესში კონკრეტულ დავალებას მორგებული შეფასების რუბრიკით ხელმძღვანელობენ. საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლება ითვალისწინებს განმავითარებელი შეფასებით ხელმძღვანელობას, რაც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასებისას იყენებენ სიტყვიერ კომენტარებს, რჩევა-დარიგებას, დაკვირვების ფურცელს, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემასა და სხვ. ასევე აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, რასაც გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი,** კერძოდ, ახდენენ შედეგების ანალიზს და მის საფუძველზე ქმნიან განახლებულ კურიკულუმებს. იქიდან გამომდინარე, რომ საშუალო საფეხურზე პირველად ხდება განახლებული კურიკულუმებით სწავლება, განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები მცირეა, რის დახვეწასა და გამრავალფეროვნებას გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის. მე-11 კლასებში პირველად 2023-2024 სასწავლო წელს უნდა განხორციელდეს ახალი სტანდარტით მომზადებული სახელმძღვანელოებით სწავლება და რადგან თვითშეფასების ფორმის შევსების პროცესში სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი ჯერ დასრულებული არ იყო, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი მე-11 კლასის არცერთი საგნის ჩარჩო-პროგრამა, რომელზე მუშაობასაც გეგმავენ სექტემბერში, სწავლის დაწყებამდე. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი იყო მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმი, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი თემები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების რუბრიკები;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
4. საგნობრივი კურუკულუმები;
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
6. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
7. სსსმ მოსწავლის პორტფოლიო.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან შუალედური მიზნები ზოგიერთ თემასთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რაც უმაღლებს თვითეფექტურობას და ზრდის შინაგან მოტივაციას. ამის გარდა, განხორციელებული საკლასო თუ სასკოლო პროექტები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ჩართოს მოსწავლეები აქტიურ შემოქმედებით პროცესში. მიმართავენ სხვადასხვა აქტივობებს, ხელს უწყობენ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლეებს ექნებათ არჩევანის შესაძლებლობა, თავადაც შეეძლებათ დაგეგმონ სამუშაო პროცესი, გაინაწილონ როლები და შესაბამისი დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-წავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობით ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში განსაზღვრული აქვთ კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები და გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას და პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე,** რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი კომპეტენციები და ღირებულებები. სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა-მობილიზება; დავალების მთავარი მიზნის დადგენა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ წახალისებულია მოსწავლის ინიციატივები. კურიკულუმის ჩარჩოში პროექტული სწავლებისათვის უნდა ჩანდეს პროექტის ისეთი იდეები, სადაც პედაგოგსა და მოსწავლეებს დასჭირდებათ მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და აქტივობების შემუშავება დაგეგმილი დავალებების განსახორციელებლად, რაც მოსწავლეებს შესძენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოცდილების გაუმჯობესების საშუალებას. მოსწავლე თავად შეძლებს შესრულებული დავალების ანალიზს, მიიღებს სათანადო ზომებს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; განსაზღვრავს დროის მენეჯმენტს, რაც სჭირდება დავალების შესრულებას და პრეზენტირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული),**

რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, პროექტული სწავლების გეგმებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მისი ინსტრუმენტალიზაციითა და გამოყენებით, კონკრეტულ

პირობასა და მოცემულობაში, ცოდნად აყალიბებს. მოსწავლეებში იზრდება გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისას. მასწავლებლები ცდილობენ პროცესი ისე წარმართონ, რომ მოსწავლემ შეძლოს მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება, რაც გაუზრდის დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს. ამ მიზნით სხვადასხვა დისციპლინები ხშირად მიმართავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1 კურიკულუმები;

2 სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

საშუალო საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილია ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების, ქვეცნებების შემუშავება. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. კურიკულუმებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული; ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, წარმოადგინეს რამდენიმე კომპლექსური დავალება, განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. სასურველია ისტორიის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მიმართულები სასწავლო პროცესი სრულად მიემართებოდეს კომპლექსურიდან კომპლექსურისკენ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

კურიკულუმებში გათვალისწინებულია სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების სტრატეგიები. ეს სტრატეგიები არ არის ცალკე განყენებულად, რაიმე ფარგლებში, არამედ ინტეგრირებულია შესაბამისი საგნის სწავლების პროცესში. ამ მხრივ ის სასწავლო პროცესს უფრო შემოქმედებითსა და ნაყოფიერს ხდის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით და პროცესის სწორად წარმართვისათვის, იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს: დისკუსია, როლური თამაში, მოდელირება, იმიტირებული გაკვეთილი. განხორციელებული აქვთ პროექტი „ბულინგი“, „ცხოველთა დაცვა“; გეგმავენ სხვა პროექტების განხორციელებასაც, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პიროვნული და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების რუბრიკა არის ზოგადი. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კარგად ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, გეგმავენ

შეფასების მრავალფეროვანი მექანიზმის დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა ირჩევს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს, შესაბამისად, შეფასების პროცესში მეტი აქცენტი გაკეთდება განმავითარებელ შეფასებაზე, განმსაზღვრელ შეფასებას კი მხოლოდ შემაჯამებელი დავალებების შესაფასებლად გამოიყენებენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე და გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულია რამდენიმე შეფასების რუბრიკა, სადაც გაწერილია თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი (მაგ: ისტორია მე-10 კლასი). ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილებები მათ დაეხმარება შექმნან ახალი რუბრიკები. აღნიშნეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობის მიზნით კარგი იქნება თუ შეფასების რუბრიკების შექმნაში მოსწავლეებიც ჩაერთვებიან. საუბრის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები - შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გეგმავენ შექმნან ისეთი რუბრიკები, რომელიც მაღალი სიზუსტით გაზომავს თითოეული მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

ექსპერტრბის ვიზიტის მომენტისთვის, სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი ცალკე დოკუმენტი. ამ ეტაპზე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ვიზიტის დროს სკოლამ აღნიშნა, რომ ვერიფიკაცია გარკვეულწილად ხორციელდება მასწავლებლების ურთიერთდაკვირვებით, სკოლის ადმინისტრაციის დაკვირვებით, კათედრაზე შეფასების ინსტრუმენტების განხილვითა და ანალიზით, რითაც ხდება შესაბამისობის დადგენა. ინტერვიუს დროს, აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაანალიზებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, შეიმუშავებენ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს ცალკე დოკუმენტად და მის რეგულირებას სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი განახორციელებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სკოლს მიეცა რჩევა უზრუნველეყო შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შედგენა და ამოქმედება, რის საფუძველზეც სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და თანდართული მტკიცებულებები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 05/10/2023 წ.-ის ბრძანება № 2-164 სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგიის დამტკიცების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ და სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შესაბამისად, უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლა დაინტერესებულია დაიცვას მოსწავლეთა და ზოგადად, სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემები. მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალში, მატერიალური სახით კი - პირად საქმეებში. კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები და ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეთა ნამუშევრებს და შესრულებულ შემაჯამებელ სამუშაოებს სკოლა მატერიალურად ინახავს არანაკლებ სამი წლის განმავლობაში (მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას პრეზენტაციების სახითაც აქვთ შენახული ელექტრონულად). მატერიალური ჟურნალები ინახება სკოლის არქივში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
3. კათედრის სხდომის ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი, მიმღებლობითი, პოზიტიური და მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული, უსაფრთხო გარემო, რაც მოსწავლეებს უვითარებს გამჭოლ უნარებს. სკოლის მისია და ხედვაც მეტყველებს სკოლაში შექმნილ მხარდამჭერ, თანამშრომლობით და მიმღებლობით გარემოზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. ასევე, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში ქმნის მხარდამჭერ გარემოს და როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეთა მხრიდან მიმღებლობისა და თანამშრომლობის ხარისხის ზრდის გარანტიაცაა. სკოლაში განხორციელებულია პროექტები, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების სამივე რგოლი. მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სკოლა ზრუნავს აქცენტი გააკეთოს მოსწავლეთა მიღწევებზე და მათ წარმატებებზე. შემუშავებულია ინდივიდუალური სამუშაო გეგმები სსსმ მოსწავლეებისათვის. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ხელს უწყობს არაფორმალური განათლება და პროექტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

წარმოდგენილი კურიკულუმები, არსებული არაფორმალური საქმიანობა და განხორციელებული პროექტები ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება. მოსწავლეები ჩართულნი არიან პროექტებში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის კეთილგანწყობის დამყარებას, ერთმანეთზე ზრუნვას, პასუხისმგებლობას, თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბებას. გამოყენებულია მულტიმოდალური მიდგომები. მათი მთავარი მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში და მოტივაციის ამაღლება. სასწავლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწავლეზე ორიენტირებულია და მორგებულია მის ინტერესს და საჭიროებას. სკოლაში იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას,** რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრების თანამშრომლობა და განხორციელებულ პროექტებში მასწავლებელთა, მშობელთა, დირექციის ჩართულობის ხარისხი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი, შეფასების რუბრიკები), რომ კათედრებზე წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. სკოლაში არის კათედრათაშორისი თანამშრომლობის კულტურა, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები, ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები. კარგი თანამშრომლობითი კულტურის მაჩვენებელი იყო ასევე ინტერვიუს დროს ერთმანეთის მხარდამჭერი გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.** სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები გვაფიქრებინებს,

რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პოლიტიკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. კათედრის შეხვედრის ოქმები;
3. მასწავლებელთა ანგარიშები
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ესგ-ის სტანდარტის შესაბამისად. მონიტორინგი კურიკულუმის შეფასებაზე მიმდინარეობს გაკვეთილებზე დაკვირვებით და კათედრის წევრების ურთიერთდასწრებით. ამ ეტაპზე, იზომება როგორც მოსწავლეთა მიღწევები, ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი. ორივე შემთხვევაში მიეწოდებათ უკუკავშირი, რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში, რაც დადებითად აისახება შემდგომი გაკვეთილების ჩატარების ხარისხზე. დაკვირვება მიმდინარეობს რეგულარულად დირექციისა და კათედრის წევრების მიერ.

მონიტორინგი დირექციის მხრიდან ხორციელდება სასკოლო პროექტების განხორციელებაზე და ხარისხზე პერიოდულად. ახალი ესგ-ის დანერგვის პროცესებში სკოლაში გაკვეთილზე დაკვირვებას ასევე აწარმოებდნენ მხარდამჭერი ექსპერტები და გასცემდნენ უკუკავშირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა/სწავლების პროცესში. მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ მიმართულებით კათედრები გეგმავენ წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას. სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
2. შეფასების რუბრიკები.
3. მასწავლებელთა ანგარიშები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დააკვირდეს სწავლის პროცესში განხორციელებულ პროგრესს, რაც თავის მხრივ უადვილებს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის კათედრები შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც უფრო ნათლად გამოაჩენს მოსწავლის შედეგსა და პროგრესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე, შემდგომ ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. მიმდინარე კურიკულუმი მოიაზრებს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე დაკვირვებასა და შეფასებას. ამისათვის გასათვალისწინებელია მრავალი კონტექსტი - როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეფასება (მაგალითად, პროექტებში, ოლიმპიადებში, სპორტულ აქტივობებში), სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება. ახალ კურიკულუმში დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლის თვითშეფასების კითხვარს და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოქმედ სასკოლო კურიკულუმში არსებობს შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა შეგროვების გარკვეული გამოცდილება. შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. თვისებრივი მეთოდებიდან იყენებენ დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფებს და ინტერვიუს; რაოდენობრივიდან - გამოკითხვას. სკოლაში პროექტების განხორციელების დროს სასკოლო საზოგადოება ძირითადად იყენებს გამოკითხვას სპეციალური შედგენილი კითხვარებით, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. სკოლა გამოთქვამს მზაობას, შემუშავდეს და სასწავლო გეგმაში აისახოს ინფორმაციის მოგროვების პროცესში სხვადასხვა მეთოდები: ანკეტირება,

გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით შეფასებას ახორციელებენ კომპლექსურად. გეგმავენ, რომ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა წარიმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, მოსწავლეზე დაკვირვებით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენებით და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. წლიური ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლაში იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. იგი განსაზღვრავს კურიკულუმის ეფექტიანობის შეფასებას და მის გადახალისება-გაუმჯობესებას მომავალი სასწავლო წლისთვის. ვიზიტისას მიმდინარეობდა აღნიშნულ საკითხზე მუშაობა. სკოლაში ყოველწლიურად ხდება სასკოლო კურიკულუმების განვითარება, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შეფასების შედეგებს. გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. ეს მათ აძლევს საშუალებას დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გაზიარებულ იქნას სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრის წევრებს შორის განიხილება საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები და მიმდინარეობს მათი გადამუშავება, დგება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა სადაც გათვალისწინებული იქნება გადასინჯვის შედეგად მიღებული მიგნებები. აღნიშნული მოემსახურება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების დაგეგმვასა და განხორციელებას. ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგები დანერგავენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების კვლევის მექანიზმს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

.....

.....

.....

კომისიის თავმჯდომარე: **ელისაბედ ბუსხრიკიძე**
ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი



მოადგილე: **მარიამ ჭყონია**
ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი

საავტორიზაციო კომისიის კომისიის წევრები:

ალა სანამიანი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

თამარ შალვაშვილი
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მაკა ნატროშვილი
დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ვერა გუდაძე
ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი



სოფიო ხვადაგიანი
სახელმწ. ენის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ედუარდ ნაკაიძე

სპორტის საგნობრივი ექსპერტი



ციცინო თორია

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი



თამარ ჩალახეშაშვილი
უცხო ენის საგნობრივი ექსპერტი

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი
ელენე ხუციშვილი

თარიღი: 17 / 10 / 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: